# სახალხო გაზეთი

№ 924 პარასკევი, 21 ივნისი 1913 წ. № 924

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ტელეფონი № 12-29

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

**გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ.**

**ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.**

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა



**სახალხო გაზეთი**

**ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით**

პირველი მკათათვიდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს **4 მ. 50 კ.**

**თვეში ღირს 75 კაპ.**

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

**მისამართი:** Тифлисъ, „Сахалхо газети" Почт. ящ. 190.


ქ. მოსკოვში 18 ივნისს გარდაიცვალა **მათი უდიდებულესობის** ფრეილინა უგანათლებულესი თავადის ასული

## ოლღა ილიას ასული გრუზინსკაია,

რასაც აუწყებს ტფილისის თავად-აზნაურობას ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი. 1365.


## ახალი კლუბი
**(საზაფხულო თეატრი)**

სამშაბათს, 25 ივნისს, 1913 წლ. გაიმართება

## მუსიკალურ-დრამატიული საღამო

## ნინო და ვარვარე ვლადიმერის ასულთა ალექსი-მესხიშვილებისა

**კრუინინისა, კოპელნიცკისა,** ინაშვილისა, გაგიკ ორომანსისა, მხატვრის ვ. სიდამონ-ერისთავისა, ქართულ დრამის რეჟისორის ალ. წუწუნავასი, გრიშაშვილისა და სხ.: აგრეთვე ე. ი. ზელიონის დირიჟორობით „ახალ-კლუბის" 50 კაცისაგან შემდგარ სიმფონიურ ორკესტრის მონაწილეობით.

ადგილების ფასი: 40 კაპ. 2 მან. 50 კაპ. და გალერეია 20 კაპ. 40 კაპ. დაწვრილებით პროგრამებში. დასაწყისი საღამოს 9 საათზე. 1358



## პირველ-ხარისხოვანი
# დიდი ცირკი
## ძმ. ესიკოვსკებისა

მიხეილის პროსპექტ., მუშტაიდის შესავალთან, ნ. კუნდუხოვის ადგილზე, საკუთარი საზაფხულო გრილი სადგომი, ტრამვაი იქვე ჩერდება და შინ დაბრუნებისასაც მუშაობს.

მხოლოდ ძმ. ესიკოვსკების ცირკს შეუძლიან იმის ჩვენება, რაც სხვებს არას დროს არ შეეძლებათ!

**დღეს, 21 ივნისს, 1913 წ.**

**გაიმართება**

**სხვა და სხვანაირი პროგრამით**

## დიდი წარმოდგენა.

უკანასკნელი გასტროლი გამოჩენილ **კორდე-ბალეტისა,** რომელიც მოწვეულია პირველ-ხარისხოვან მს ხიობ ქალის **ალექსისაგან.** უკანასკნელი გასტროლი გერმანელ მსახიობის **ბ. ხალიტისა.** უკანასკნელი გასტროლი „ბორკილების მეფისა" **ბუგო-ბუგოსხეტისა,** რომელიც წოდებულია „ამერიკელ დეტექტივების მეტოქეთ. დღეს გაიმართება **ცეკვა,** რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ პირველ-ხარისხოვანი მსახიობები.

**ანონსი:** ხვალ, შაბათს, 22 ივნისს, გაიმართება დიდი საეფექტო წარმოდგენა.

**დასაწყ. საღ. 8 ს.** დირექცია **ძმ. ესიკოვსკები.**

378 გამგე **დ. მ. ხუნდაძე.**




## ძმ. აზგარცების ცირკი

**მიხეილის პროსპ., № 131, „აპოლლოს" თეატრის გვერდ.**

**პარასკევს, 21 ივნისს გაიმართება დიდი**

## საჯირითო და საპარჯიშო წარმოდგენა.

დასასრულ ღამის 11 საათზე გაიმართება **სამი** საინტერესო ჭიდაობა **კავკასიური** და თავისუფალი **ამერიკული ჭიდაობა.**

1. **აზგორუიკო მარჩენკოს** წინააღმდეგ; 2, **მადილასოვი** საბერძნეთის ფალავანი **ლევანიძის** წინააღმდეგ. 3. **კანდელაშვილი** პროფესიონალურ ატლეტისა და მოჭიდავის ელისეევის წინააღმდეგ. ჭიდაობა ყველა გადამწყვეტია. 320

## ექ. ვ. დ. ლამბაშიძის
### სანატორიუმი და საზაფხულო სამყოფი
## პაფარა-ცემი

**გაიხსნება 15 თიბათვეს—31 მარიამობისთვემდე.**

**მისამართი ფოსტით:** ტფილისი, ექ. ვ. დ. ლამბაშიძეს.


## ღარიბ მეენაფეთა შემწე ტფ. გუბ. თავად-აზნაურთა საზოგადოების გამგე კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ საზოგადოების წევრთა

## წლიური კრება

რომელიც დანიშნული იყო 2 ივნისს 1913 წ., დილის 11 საათზე, სათავად-აზნაურო გიმნაზიის სადგომში, გადაიდო 26 ივნისისთვის.

**განსახილველია:** 1) საზოგადოების ანგარიში 1912 წლისა. 2) 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვა. 3) გამგე კომიტეტის მოხსენება საზოგადოების წესდების შესახებ. 4) მისივე მოხსენება საპენსიო წესდების შესახებ. 5) ქალთა სკოლის ინსტრუქცია. 6) პედაგოგიური და ადმინისტრატიული კითხვები. 7) ამორჩევა იმ წევრებისა, რომელნიც თავს ანებებენ თავიანთ თანამდებობას ვადის გასვლამდე.

თუ საზოგადო კრება 25 ივნისს არ შესდგა, კრება ინიშნება ორი კვირის შემდეგ. 1190


## სკეტინგ რინგი

მიხეილის ქუჩა № 117.

**22 და 23 ივნისს 1913 წ.** გამომგონებელი თავ. ვაჩნაძე აჩვენებს მის მიერ გამოგონილ **„ირაკლის თვითმავორავს"** დაუკრავს სამხედრო ორკესტრი. არის ბუფეტიც. როლიკებზე ცურაობა დაიწყება ნაშუადღევის 4 საათზე.

**თვითმავორავით სეირნობა** დაიწყება საღამოს 8 საათზე. 1364

ბრიუსელის გამოფენაზე 1901 წ. GRAND PRIX.

## შპალიერის (ОБОИ) ქარხანა
## ძმ. ტარნოპოლების.

**განყოფილება იმყოფება გოლ. პროსპ., № 21, ტელ. № 355.**

**მიღებული გვაქვს ძვირფასი საჩუქრები.**

იყიდება რუსეთის ყველა ქალაქებში. ფასი ყველა (სრული ზომის 11¼ არშ.) შპალიერისა, საფაბრიკო 8 კ. ვიდრე 6 მ. თოფი. ნიმუშები დაეთმობათ უფასოდ, როგორც ქალაქებში, ისე ქალაქ გარედ მცხოვრებთ.

ოქროს მედალი ოდესის გამოფენაზე 1910 წ. 1137

ოქროს მედალი როსტოვის გამოფენაზე 1910 წ.

ოქროს მედალი ეკატერინოსლავის გამოფენაზე 1910 წ.

## ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება
### იყიდება იაკობ გოგებაშვილის წიგნები:

| | | | |
|---|---|---|---|
| ახპინძის ომი | ფასი 7 კ. | Мотодика къ русскому Слову | 40 „ |
| ბურჯი ეროვნებისა | „ 20 „ | Разборъ учебныхъ руководствъ по русскому языку | 50 „ |
| იავნანამ რა ჰქმნა? | „ 5 „ | Нормальное письмо | 20 „ |
| თავდადებული ქართველნი | „ 7 „ | Правда о Тифлисѣ | 20 „ |
| მოსავლის მცველნი | „ 20 „ | О груз. и русскомъ алфавитахъ | 20 „ |
| მეფე ერეკლე და ინგილო ქალი | „ 5 „ | Какъ улучшить кавк. народ шк. | 20 „ |
| რანი ვიყავით გუშინ? | „ 20 „ | Къ вопросу о мингрель. школѣ | 20 „ |
| რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები | „ 1 მ. | Государственный языкъ. | 30 „ |
| საარაკო თავ-გადასავალი ტახტის მემკვიდრისა | „ 10 „ | Очеркъ сравнит грамматики груз. и русск. языковъ | 20 „ |
| სხივი წარსულისა | „ 5 „ | Къ вопросу о поднятіи уровня образованія среди грузинскаго дворянства. | 50 „ |
| თავდადებული ქართველი ექიმი | „ 5 „ | **ახალი წიგნები:** | |
| საარაკო თავ-გადას. ტახტის მემკვიდრისა | „ 10 „ | სამწყემსო მოთხრ. ე. გაბაშვილისა | 30 „ |
| | | იაკობ გოგებაშვილის სახსოვრად. | 75 „ |
| | | ილია ჭყონიას ნაწერები | „ 1 მ. |

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1217

## გროლის ღიმილი
## ი. გრიშაშვილისა

1359

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან.**

**ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.**

**ტელეფონი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | **მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>**მაღალაშვილი გ. გ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. ს.<br>**ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1.<br>**ექ.-ქალ. ენგელ. მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** სამ., ხუთ., შაბ. 11—12 |
| ქირურგ. სნეულებანი. | **მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი ყოველ დღე 11½—12½.<br>**მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1.<br>**ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ სნეულებანი | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12.<br>**თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1.<br>**სულაკოვი ა. ი.** ყოველ დღე 2—1. |
| ბავშვთა სნეულებ. | **ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½.<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1.<br>**ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1. |
| ნერვიულ. სნეულებ. და ელექ. | **ბედევანიშვილი. მ ა.** შაბათობით 10½—11.<br>**ჯავახიშვილი ნ. ნ.** ოთხშაბ., პარას. და კვირას 11—12.<br>**ფონდოევი გ ს.** ყოველ დღე 1—2. |
| ყელ. ყურის და ცხვირ. | **ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½.<br>**ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე 1½—2. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენერ. ავ. | **დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606" და „914" წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა, შეღავათიანი საფასურით. წ. 1035

## ვასწავლი

ქართულ **„სიმღერა-გალობას"** და ვამზადებ მომღერალ-მგალობლებს გუნდისთვის. მუდმივ გუნდის მიწვევა ეკლესიებში, კონცერტებზედ, პირობის გაგება, მოლაპარაკება, მიღება და ჩაწერა **მიხეილ კავსაძესთან** კვირაობით, ოთხშაბ. და შაბათობ. საღ. 5—7 ს-მდე. ივპოლის ქუჩა № 29. ვიღებ და ვასწავლი **მუშა-ხალხსაც.** ვიწვევ მგალობლებს **ანჩისხატის საკრებულო ტაძარში,** სადაც კვირა-უქმეებში მუდმივ გალობს გუნდი. 349.

## ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

**ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.** იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 324

## ექიმი ივ. გომართელი
პირველი ივნისიდან პირველ ენკენისთვემდე ავადმყოფებს მიიღებს **ბორჯომში.** აგარაკი მირზოევისა. 307.

## ექიმი შ. ა. მიქელაძე.
იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე, საღამოს 6 ნახ.—8 ნახ. სააღ., კათის ქ., № 6.

## ექიმი ი. ი. გერიშვილი
სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ველიაზუდ. ქ** № 14, კიროჩნი ქუჩის ახლო, **სადგურის განყოფ. პირდაპირ.** 102

## საზურთალოზე
**მშვენიერ ალაგას**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1220

## ვაგზლის კერძო სამკურნალო
**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. ვაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ 9½ ს. 10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—1 1/2 ს

**ბ. ა. პოპოვი.** ყოვ. დღე, კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—1 1/2 ს.

**ექ. ქალი იოსელიანისა**—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—1 1/2 ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

**ვ. ვ. კლდიაშვილი.** ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

## აწამლოვ „606"-ით

1035


## სახელმწიფო საბჭო

### 19 ივნისის სხდომა.

თავმჯდომარეობს **გოლუბევი.**

განსახილველია კანონ-პროექტი ნავთსადგურების ადგილობრივ მართველობის შესახებ.

**ივანიცკი** მოახსენებს, რომ კანონ-პროექტი განხილულია განსაკუთრებულისა და საფინანსო კომისიებისაგან. კომისიის უმთავრესი შესწორება ეხება იმას, რომ ნავთსადგურის უფროსისათვის არ უნდა იყვეს სავალდებულო სატეხნიკო განათლების მიღება და ნავთსადგურის სამართველოს წევრების რიცხვი უნდა შემცირდეს იმგვარად, რომ მთავრობისაგან დანიშნულისა და საზოგადოებისაგან არჩეული წევრების რიცხვი თანაბარი გახდეს.

**ვაჭრობის მინისტრის ამხანაგი ბარკი** მოახსენებს კანონ-პროექტის მთელს ისტორიას. სამინისტროს უნდოდა შეერთებინა ნავთსადგურის უფროსობა და ტეხნიკოსის თანამდებობა. სამინისტრო ცდილობს აგრეთვე ნავთსადგურების საქმით დააინტერესოს საზოგადოება და ზოგიერთი საქმე, რომელიც ახლა დამოქნის უწყების ხელთ არის, ნავთსადგურის გამგეობას გადასცეს. სამინისტრო ეთანხმება კომისიის შესწორებას, რადგანაც იგი მთავრობისაგან შემუშავებულ კანონ პროექტს აღადგენს.

**ზინოვიევმა..** რადგანაც ახლა დრო არა გვაქვს და კანონ-პროექტი კი რთულია, ამიტომ, სჯობს, მისი განხილვა შემოდგომისათვის გადაიდოს.

ეს წინადადება საბჭომ უარჰყო, რის შემდეგაც შეუდგა მუხლობრივ განხილვას და მიიღო 28 მუხლი **იორდანოვის, შიპოვისა** და **ივანიცკის** სარედაქციო შესწორებით.

ცოტა ხნით სხდომის შეწყვეტის შემდეგ განიხილა კანონ-პროექტის განხილვა, რომელიც მთლად მიიღეს. შემდეგი კრება 20 ივნისს იქნება. განსახილველია 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვა.

## ახალი ამბავი

### ტფილისი

◆ **სად აშენდეს პოლიტეხნიკუმი?** როგორც ვწერდით, 18 ივნისს პოლიტეხნიკუმის ადგილის ამრჩევმა კომისიამ ნავთლუღი და საბურთალო დაათვალიერა. როგორც გავიგეთ, კომისიის წევრთა უმრავლესობაზე საბურთალომ უფრო კარგი შთაბეჭდილება მოახდინა, ვიდრე ნავთლუღმა. ოთხშაბათს, 19 ივნისს, საუწყებათაშორისო კომისიას მეფის მოადგილის საბჭოს დარბაზში მეორე კრება ჰქონდა მეფის მოადგილის საბჭოს წევრის მ. პ. გაკელის თავჯდომარეობით. კრებას დაესწრო მეფის მოადგილის საბჭოს წევრიც ნ. ფ. დეუნკოვსკი, რომელიც პირველ კრებას არ დასწრებია, რადგანაც ბათომს იყო წასული მეფის მოადგილის გასაცილებლად რუსეთში. კომისიის წევრებმა ერთმანეთს გადასცეს თავისი შთაბეჭდილება ნავთლუღისა და საბურთალოს მიწების შესახებ. შემდეგ შეიმუშავეს დაწვრილებითი პროგრამა კომისიის მომავალ მუშაობისა. კომისიამ გადასწყვიტა, მიწების ყოველ მხრივ გამოკვლევა გააგრძელოს. საფინანსო საკითხების გამოსარკვევ მუშაობას ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს ნ. ფ. დეუნკოვსკიმ, წყალსადენისა და სარწყავ არხების გაყვანის საკითხებისას—წყალთა ოლქის უფროსმა ნ. ა. პეტროვმა, სააგრონომიოსას—სასოფლო მეურნეობის მთავარმა ინსპექტორმა ს. ნ. ტიმოფეევმა, საალმაშენებლოსას—ინჟინერმა ი. ი. კოგნოვიცკიმ და საიურიდიოსას—ოლქის სასამართლოს თავჯდომარემ კ. ლ. ლემერმანმა. რადგანაც საკითხი ფრიად რთული და სერიოზულია, კომისიას კრება ექნება მხოლოდ სექტემბრის პირველ რიცხვებში, რათა კომისიის ზემო-დასახელებულ წევრებს საშუალება მიეცეთ საკითხი ყოველ მხრივ გამოარკვიონ.

19 ივნისვე, საღამოს 6 საათზე, ქალაქის მოურავის ა. ი. ხატისოვის სურვილის თანახმად, კომისიის წევრებმა ლოტკის გორაც დაათვალიერეს, სადაც მდებარეობს მიწები: ქალაქისა, ნადიროვისა, დოლუხანოვისა და სხვებისა.

◆ **საფოსტო განყოფილება.** ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის უფროსი გუბერნატორს შეეკითხა, რამდენი მცხოვრებია ახალდაბასა (გორის მაზრა) და მის ახლო-მახლო მდებარე სოფლებში და რა აღებ-მიცემობას ეწევიან. შეკითხვას კავშირი აქვს ახალდაბაში (სადგურ სუმბათოვოში) საფოსტო განყოფილების გახსნის საკითხთან.

◆ **გუბერნატორი ა. გ. ჩერნიავსკი** თიანეთისა, თელავისა და სიღნაღის მაზრებისკენ გაემგზავრა.

◆ **კავკასიის სამხედრო შტაბი** 24 ივნისს საზაფხულოდ კოჯორს გადავა.

◆ ამ დღეებში გამოვა გასაყიდად სამეცნიერო-სალიტერატურო კრებული „გვირგვინი", შემდეგის შინაარსით: შოთა რუსთაველი—გრ. რობაქიძისა, სუმერული და ქართული—მიხ. წერეთლისა, ოვიდიუს მეფე, ბერძნულიდან ნათარ. პ. ქავთარაძისა, მეფე-მგოსანი—ალ. შანშიაშვილისა, ღამე—ს. ფირცხალავასი და გლოვის ზარი—მისივე. წიგნი მოზრდილი ზომისაა, შეიცავს 330 გვერდს, დაბეჭდილია კარგს ქაღალდზე და ეღირება ერთ მანეთად.

◆ ივლისის პირველ რიცხვებში გრ. რობაქიძეს და ი. გრიშაშვილს განზრახვა აქვთ გამართონ სალიტერატურო საღამოები შემდეგ აგარაკებში: სურამსა, ბორჯომსა, წაღვერსა, ბაკურიანსა, ახალციხესა და აბასთუმანში. რობაქიძე წაიკითხავს ლექციას შოთა რუსთაველის შემოქმედებაზე. ხოლო გრიშაშვილი—საკუთარ ლექსებს.

◆ **ექსკურსია** გუშინ ტფილისს ჩამოვიდნენ პიატიგორსკის დედათა საქალაქო სასწავლებლის მოსწავლენი, რიცხვით 33 კაცი. მოსწავლენი ტფილისში 4 დღეს დარჩებიან.

✦ **სასალახო დათვალიერება.** 19 ივნისს ბუნებისმეტყველთა და ექიმთა მეცამეტე კრების მონაწილეთ დილის 8 საათსა, შუადღის 12 საათზე და საღამოს 5 საათზე სამ ჯგუფად დაათვალიერეს ქალაქის ახალი სასალახო. პირველ ჯგუფში იყო 25 კაცი, მეორეში-40 და მესამეში-200.

✦ **საბირჟო ცნობები.** 19 ივნისს ტფილისში შეთანხმება არ მომხდარა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგია: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებენ - 85 მ. 40 კ., აძლევენ— 83 მ. 90 კ., ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—83 მ. 25 კ., აძლევენ—82 მან. 90 კ. და ქუთაისის სათავ.-აზნაურო საადგილ-მამულ. ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—81 მ. აძლევენ—80 მან., და მომგებიან ბილეთებისა: პირველ სესხისა—454 მან., მეორისა —339 მან. 75 კ. და მესამისა—311 მ. 50 კაპ.

✦ **საქალაქო მიწების მორწყვა.** კუკიისა და ავლაბრის საქალაქო მიწების მოსარწყავად განზრახულია არაგვიდან წყალი გამოიყვანონ. უნდა მორწყონ 4,000 დესეტინამდე მიწა. რამდენად შესაძლებელია წყლის გამოყვანა, ამის გამოკვლევა მინდობილი აქვს ქალაქის წყალსადენის ინჟინერს გ. ზ. ქურდიანს, რომელიც მორიგ სამუშაოსაგან განთავისუფლებულია და 23 ივნისს სარწყავ არხის გამოსაკვლევად მიემგზავრება სამის ტეხნიკოსით. მუშაობა გასტანს 2 თვეს. გამოკვლევა დაიწყება ტფილისიდან, კუკიის აგარაკიდან. მიმართულება ასეთი იქნება: კუკიის აგარაკი, გლდანი, წიწამური, ბიწმინდი, ქოპორტი. ბულაჭური და ჟინვალი. არხის სიგრძე დაახლოვებით 80 ვერსია. გუბერნატორმა განკარგულება მოახდინა, რათა ტფილისისა, დუშეთისა და თიანეთის მაზრის უფროსებმა ინჟ. ქურდიანს ყოველგვარი კანონიერი დახმარება აღმოუჩინონ. გამოკვლევის დროს ინჟ. ქურდიანი ყურადღებას მიაქცევს აგრეთვე ძველისძველ არხს, რომელიც, გადმოცემით, თამარ მეფის დროს იყო გაყვანილი და გამოარკვევს, რამდენად შესაძლებელი და ხელსაყრელია ამ ჟამად ამ არხის აღდგენა.

✦ **ა. ს. პუშკინის სახელობის საქალაქო ბიბლიოთეკის** შენობა წელს შეაკეთეს და უკედ მოაწყეს.

✦ **მერძეობის კურსები.** კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებამ გუშინ სოფელს დიდ კარაკლისში მერძეობის კურსები მოაწყო, რომელიც 20 აგვისტომდე გასტანს.

✦ **სიცხე ტბილისში.** უკანასკნელ დღეებში ტფილისში მეტად დიდი სიცხეები იყო. სამი დღეა სიცხემ იკლო. გუშინ შუადღისას ჩრდილ ადგილებში სიცხე 26 გრადუზამდე აღწევდა (რეომიური). წინა დღეებში სიცხე 6-8 გრადუსით მეტი იყო.

✦ **კავკასიის სააბრეშუმო სადგურს** მიწათ-მოქმედების დეპარტამენტმა 750 მან. გამოუგზავნა. ამ ფულში სადგურმა უნდა დაამზადოს აბრეშუმის თესლი სამხრეთ რუსეთის ზოგიერთ ადგილისთვის.

### საზოგადოებანი და კრებები

✦ **ღარიბ მოწაფეთა შემწე ტფ. გუბერნიის თავად. აზნაურთა საზოგადოების** წევრთა წლიური კრება დანიშნულია 25 ივნისისთვის, დილის 11 საათზე, სათავად-აზნაურო გიმნაზიის სადგომში. კრებას 7 ფრიად საყურადღებო საკითხი აქვს განსახილველი.

### სასამართლო

✦ **სასულიერო სემინარიის ეკონომზე თავ-დაცემის საქმე** ტფ. სასამართლო პალატამ 19 ივნისს გაარჩია. ეს საქმე შარშან დეკემბერში ოლქის სასამართლომ გაარჩია და სემინარიის მოსწავლეთ, ამ საქმის გამო სამართალში მიცემულთ, მიუსაჯა: ი. ბენდელიანს—ღირსების ახდა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში ექვსის წლით გაგზავნა, ა. შამანაურს—ღირსების ახდა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში 5 წლით გაგზავნა, ვ. ქავთარაძეს და კაჭარავს—2 ნახ. წლის ციხე თითოს და პ. ხაბელავას და აპ. კაჭარავას—სამ-სამის წლის ციხე. ბრალდებულებმა განაჩენი სასამართლო პალატაში განასაჩივრეს. პალატამ ოლქის სასამართლოს განაჩენი დაამტკიცა.

✦ **ყალბის საბუთებით 70,000 მან. მიღება.** 18 ივნისს ქუთაისის ოლქის სასამართლომ დაასრულა საქმე იმ პირთა, რომელნიც სამართალში იყვნენ მიცემულნი ყალბის საბუთებით 70,000 მან. მიღების საქმის გამო. სასამართლომ პლატკოვსკი და კროიტორი გაამართლა, ხოლო დამნაშავედ იცნო და მიუსაჯა: შაპსონს, ტრუასკოვსკის და მგელაძეს—ღირსების აყრა და ხუთ-ხუთის წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა, ჯაყელს, კორძაიას, თალაქვაძეს, პ. კონსტანტის და ვ. კონსტანტის, თაყაიშვილს, უჩაიშვილს და ძნელაძეს—ღირსების ახდა და ოთხ-ოთხის წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა.

### რკინის გზეზე

✦ ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსი ბარონი ფონდერ-როოპი 1914 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დასრულების შემდეგ პეტერბურგიდან ორის თვით საზღვარ-გარედ მიდის დასასვენებლად. მის თანამდებობას ამ ჟამად ასრულებს მისი თანაშემწე ნ. ს. ზურაბოვი.

### სომეხთა ცხოვრება

✦ **დრამატიული სექცია.** ტფილისში დაარსდა სომხური დრამატიული სექცია, რომელსაც აზრად აქვს, იაფი სახალხო წარმოდგენები მართოს სახალხო სახლში. სექციას პირველი საზოგადო კრება ექნება ხვალე სომხეთა საქველმოქმედო საზოგადოების დარბაზში.

### ზაქათალა

✦ **ქარხნის დირექტორის გატაცება.** ვოგაუს ქარხნის (ბელოკანის ხეობაში) დირექტორი ინჟ. კულიკოვსკი, მისი თარჯიმანი და მსახური უცნობმა ყაჩაღებმა გაიტაცეს. ყაჩაღები დიდს გამოსასყიდს ფულს თხოულობენ. ქარხანაში ორას მუშამდეა.

# პატარა ფელეტონი

## მშვიდობიანი კაცის უწყინარი წერილები

დიდ! მე სრული უპრინციპობის მომხრე და მქადაგებელი ვარ. პრინციპი ჩვენი ქვეყნის უდიდესი მტერია, მტლივით ჩაგვძრომია გულში და გვხრავს და თუ დროზე ღონისძიება არ მივიღეთ, დარწმუნებული იყავით, რომ მოგვსპობს, გაგვანადგურებს. პრინციპების ბრალია, რომ ქართველები მუდამ უმადურნი, უკმაყოფილონი და მოუსვენარნი ვართ: ეს ცოტაა, ეს არ ვარგა, ეს შეუფერებელი არისო, გავიძახით. მერე რა არის შეუფერებელი და უვარგისი, რომ იკითხოთ, ვერავინ გიპასუხებთ. არ ვარგა! როგორ არ ვარგა და რომ არ ვარგოდეს, არც იქნებოდა. ყველაფერი რაც არის, კარგია ძლიერ და საკმარისია, ზედმეტიცაა! ჩვენ თვითონა ვართ გლახები, უვარგისები, არაფრის სარგებლობა არ შეგვიძლია, ცხოვრების შნო არა გვაქვს. მოუხეშავნი და ტლანქები ვართ!

დაგვიღია პირი მშიერ პირუტყვებივით და გამვლელ-გამომვლელთ შევსჩივით: ქართველებს გვდევნიან, სამსახურში არ გვიღებენ, არაფრს გვანდობენ, არ გვაწინაურებენ. ჩვენთვის სიკეთე არ უნდათო! ნამდვილი უსუსური ბავშვის ან სულელი ნაცარქექიას საყვედურია და ყოვლად უსამართლოც! სხვას თუ არ დავუჯერებთ, ბატონებო, თქვენის თვალით ჩაიხედეთ კალენდარში და ნახავთ, რომ ყოველს უწყებაში მსახურობენ ქართველები და მათ რომ ნდობით უყურებენ, იქიდანაც სჩანს, რომ ისეთს მძიმე, პასუხისაგებ თანამდებობასაც კი აძლევენ, როგორიცაა ბოქაულის, ჟანდარმის და საიდუმლო მაძებარის თანამდებობაა. ქართველი ჯაშუში განა ცოტაა?... ცოტაა ქართველი ბოქაული? და აი მე თვითონ ქართველი ვარ სულით და გულით, არავისზე ნაკლებ პატივს არა ვცემ ჩვენს ჩვეულებას, ხასიათს, სმა-ჭამას, დროს გატარებას, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ჩემი სამსახურისათვის და ისე მაღლა დავწინაურდი, როგორც არ დაწინაურებულა არც ერთი ჭეშმარიტი მოკავშირე. ყოველთვის მადლობელნი იყვნენ ჩემი და ორდენი და საჩუქარი არას დროს არ მომკლებია.

ჩვენი უბედურება ჩვენივე სიტუტუცეა! ქართველებს თუ ცოტას იღებენ სამსახურში იმიტომ კი არა, რომ არ უნდოდეთ მათი მიღება, არამედ იმიტომ, რომ ქართველები უნიჭონი არიან. ვერ მსახურობენ როგორც საჭიროა. ქართველს უცნაური და ახირებული ზნე სჭირს: უალაგო ალაგას და უდროოდ უთუოდ თავისი ქართველობა უნდა წამოჩხიროს.

კაცი რომ სამსახურში შედის, ის უნდა იყოს გულ-მოდგინე, მუყაითი მოხელე და არა პოლიტიკოსი. მისთვის უნდა მოისპოს ეროვნება და რომ ჰკითხონ, ქართველი ხარ თუ ვინაო, სთქვას: „ქართველი არა ვარ"? სთქვას თავმომწონედ და ამაყად. სთქვას ამაყად, რადგან საამაყოა, როცა ადამიანს ძალა შესწევს მოიქცეს ისე, როგორც უჯობს და არა ისე, როგორც ცრუ-მორწმუნეობა, დახავსებული ტრადიცია უკარნახებს. რად უნდა ქართველს სამსახურში ქართველობა? ვნების მეტს რას მოუტანს? სადაც კი ქართველობა არას ავნებს, იქ რამდენიც უნდა იქართველოს—იქეიფოს, მაგალითად, ქართულადაც, იყოს ქართულად პურ-მარილის მოყვარე და პატივი სცეს თავის უფროსებს, ბრძანებლებს, ეს სრულიად გონივრული იქნება.

მეტსაც მოგახსენებთ. დაწინაურებისათვის მარტო ქართველობიდან განდგომა არა კმარა. საჭიროა, რომ ქართველმა მოსამსახურემ ქართველებისადმი ჩვეულებრივზე მეტი სიმკაცრე გამოიჩინოს, შეავიწროვოს გადამეტებულად ქართველი, გაუძნელოს ქართველს საქმე; თუ რამ ერგებოდეს, მაინც ნუ მისცემს, გასაკეთებელი გვიან გაუკეთოს. ამით ქართველი მოხელე თავის ერთგულებას დაამტკიცებს და თუმცა თითო-ოროლა ქართველი დაიჩაგრება, სამაგიეროდ ქართველი მოხელის მდგომარეობა განმტკიცდება, ქართველი მოხელენი სახელს მოიხვეჭენ და ეს კი ჩვენი ქვეყნისათვის დიდი, დიდი საქმეა, ბრწყინვალე მომავალის მომაახლოვებელია. ქართველი მოხელე რომ გამრავლდება, ქვეყანა გაძლიერდება, გაპატიოსნდება, კაცურს ცხოვრებას ისწავლის, თორემ ახლანდელი ჩვენი ცხოვრება განა ცხოვრებაა? ფერი ჩვენ არ გვივარგა და ხორცი, სიტყვა და პასუხი! სხვა არა იყოს რა, ქალაქში ასზე მეტი ნაცნობი ოჯახი მყავს და კარგი ჩაი ვერსად დამილევია...

ასე, ბატონებო! ვიცი, არ მოგწონთ ჩემი აზრები! მაგრამ მოისმინეთ. იქონიეთ მოქალაქობრივი გამბედაობა, რათა არა სასიამოვნო სიტყვებსაც დაუგდოთ ყური, ჩაუკვირდით ოღონდ კარგად, დინჯად, ეგებ თქვენ გულსაც მისწვდეს კეთილი აზრი ცოტაოდნად! ცოტაოდნად!

**ქლიბი.**

### ქართველ ბუნების-მეტყველთა და ექიმთა საყურადღებოდ

ვისაც აინტერესებს მინერალურ სამკურნალო წყლის საკითხი ჩვენში, ის მოვალეა ხმა აღიმაღლოს ბუნების-მეტყველთა და ექიმთა ეხლანდელ კრებაზე და გამოარკვიოს მდგომარეობა წყალტუბოს წყალისა. ამას ხელს შეუწყობს შემდეგი გარემოებაც: ამ ორი თვის წინედ, მთავრობის განკარგულებით გამოგზავნილი იყო ტფილისის საქ. მთ განყოფილებიდან ქიმიკოსი [illegible]. მას თან წამოეღო რადიო[illegible]დენობის გამოსაკვლევი მანქანა. გაშინჯა წყალი და თითქმის ყველგან აღმოჩნდა რადის დიდი პროცენტი, რამაც აღტაცებაში მოიყვანა ქიმიკოსი. ათ დღეს იქ დაჰყო და შეუსვენებლად მუშაობდა; წასვლის დროს წაიღო ტფილისში ოცდა ათ ფუთამდე წყალი და ტალახი სრული ანალიზის გასაკეთებლად, რაც ახლა ალბად დასრულებული ექნება.

წყალტუბის წყალი რომ ძალიან მარგებელია, ეს ყველამ იცის, მხოლოდ მოუწყობლობის გამო, სამკურნალოდ მოსული ხალხი ცუდ მდგომარეობაში ვარდება, რადგან ზანაობის დროს ერთ აუზში სხვა და სხვა სენით ავადმყოფნი, ორმოცსამოცი, ერთად ჩადის. კარგი იქნება საერთო კრებაზე სთხოვდნენ ბატონს კუპცისს, რათა მან გააცნოს კრებას ზემოხსენებული წყალის შემადგენლობა.

პროვიზორი გ. კა[illegible]იანი.

# ჩვენებური დაუდევრობა

მრავალჯერ წაგვიკითხავს ჟურნალ-გაზეთებში სამართლიანი საყვედური საზოგადოდ იმის შესახებ, რომ ქართველები გულმავიწყი და დაუდევარი ხალხი ვართ; გაჭირვების დროს დახმარებისათვის ხელის გაწვდომა ერთმანეთისადმი არ ვიცით, ჩვენი მოძმის და საზოგადო მოღვაწის მწუხარებას გულგრილად შევყურებთ, რაიმე მოსალოდნელი ხიფათისა და უბედურების დროს კი ავლაპარაკდებით, თათბირს გავმართავთ, პლანებს დავაწყობთ და ამით გავათავებთ საქმეს: ერთი წლის განმავლობაში ყოველივე დაგვავიწყდება და, თუ გვახსოვს, დაუდევრობას და გულგრილობას ვიჩენთ, როგორც კერძო ისე საზოგადო საქმისადმი. ავიღოთ თუნდ, მაგ., დღეს და ყოველთვის სალაპარაკო საგანი ჩვენი ქვეყნის მწერლობისა და საზოგადო მოღვაწეთა მდგომარეობის შესახებ: როგორც „სახალხო გაზეთის" რვა ივნისის ნომერში ბ. დავიწყებული მოგვითხრობს: „ილიას მამული სოფ. ყვარელში ოხრდება, ტიალდება და ჩვენ მომავალ თაობას ეკარგება".

გულის მკვლელია ეს სიტყვები! ნუ თუ ქართველ თავად-აზნაურობას, რომლის საკუთრებასაც დღეს შეადგენს ეს მამული, არ შეუძლია იმისი პატრონობა!? თუმცა ეს მამული გა-

---

# სამღედლიშვილი *)

**დრამა-პოემა 4 მოქმედებად.**

**მეორე მოქმედება.**

სამი დედის სახლის ეზო. აქა-იქ, ხეები სდგას. ეზოს პირდაპირ მთებია ამართული—შორს, შორს-არიან მთები და ძლივს დაჰყურებენ ნისლიან ეზოს, რომელიც თითქო იფარგლება ამ მთებით! ეზოს ერთი მხრით ტყეა, მეორე მხრით—ბუჩქნარი, ხშირი წვრილნარი. ეზოს შუა სახლი სდგას,—სოფლური, დაბლად დადგმული. ტყე მოსჩანს დააწყისში, სახლი კი სულ სცეტაზეა. სახლს შემორტყმული აქვს ბუჩქნარი, ეკალნარით დახლართული. სახლის აივნიდან ორი გზატკეცილი მიდის: ერთი მთებისკენ მთელი ეზოს გაყოლებაზე და მთებში იკარგება, მეორე ტყისკენ.

სახლის აივანზე ზის ჰაერმანი. შავად ჩაცმულია. საცმელის, როგორც კალთები, ისე სახელოები ძეწკვებიანია, როგორც ეს იციან ჩვენს სოფლებში ნიშნად უნუგეშო მწუხარებისა და გლოვისა! ჰაერმანი ზის და ჰქსოვს. ხის საქსოვი მანქანა, როგორც ხმარებაშია სოფლად, სადაც კი ჩოხას, თუ შალეულობას ჰქსოვენ,—უდგას წინ. მანქანას ამუშავებს ფეხით, ხელებით კი ასწორებს ძაფს. მოსთქვამს ხელის ხმით, ცრემლით ღიღინებს. ტანჯვისაგან სახე გაფითრებული აქვს. სიტყვებს ამბობს მწარედ,—თითქოს სურს თან ამოაყოლოს გულის ტკივილიო. მოსთქვამს შავს ბედს. ომში მოკლულს ქმარს სტირს, ცრემლით იცლება.

**ჰაერმანი.** (მოთქმით) იგი ღმერთობს!.. შენს სიკვდილზე
მას ტახტი აქვს აგებული!
შენ კი სად ხარ? სად იმარხვი,
უსავანოდ დაგდებული?
(თითოეულს წინადადებას ქვითინით აბოლოვებს ცრემლით).
შენ კი სად ხარ? ვის მივენდოთ,
ვისი გვქონდეს ჩვენ იმედი?
აქეთ ტყეა გაუვალი,
იქით მთების გრძელი ქედი!?
თავს გვატყდება უბედობის
დასაწყისი და შედეგი!
არას ამბობს, უტყვი არის
ღმერთი ჩვენი—შემომქმედი?!
(სასოწარკვეთილად).
ჰაუ, მიწავ! დედამიწავ!
ამდენს ხანსა რას შეჰყურებ?
რად არ ჰგმინავს, მტერს არ მოსპობს,
რად არ ირჩენს იგი წყლულებს?

**წყალ-მიწა.** (სახლიდან ამშვიდებს)
ნუ მოსთქვამ, კმარა!.. ნუ სტირი დაო,
იყავ გულმშვიდად, ჩემო ჰაერმან!!
იმედი გქონდეს,—შვილი გვეზრდება,
გვიხსნის ჩვენ იგი,—მასზე დაემყარე!!

**ჰაერმანი.** ბოლმა გულსა მოჰსევია,
კაეშანი მართმევს ენას!!
სევდა სულსა მოჰხვევია,
აღარ მაძლევს მოსვენებას!!
დედამიწა ვით დაიტევს,
ან ვით ითმენს უბედობას?
ნეტავ რად არ ულებს ბოლოს
აუტანელ მტერთ ყბედობას??
(სტირის).

**წყალ-მიწა.** (გამოვა ცრემლიანი)
მეც რომ ავტირდი!.. მეც მერჩის სევდა.
მაგრამ, ჰაერმან, გულში მას ვიხშობ!
არ გაეკაროს ნაღველი, მინდა,
სამღედიშვილსა,—მე ამას ვშიშობ!
ყრმა არის იგი, ჯერ სულ პატარა,
და, მოითმინე... წამოიზრდება;
ძალას მოიკრებს, ჯანს შეიმატებს,
დავაჟკაცდება და გაივსება!

**ჰაერმანი.** მჯერა, წყალ-მიწავ,
მწამს მომავალი.
სასოწარკვეთა მე რად დამწამე?
როცა ეს მგონი შენთვის არც მითქვამს!
მე თვითონ ვიყავ იმისი მოწმე...
სამღედიშვილი სამი წლის იყო...
(მოგონებაში წავა)
—მიკვირს, ამის თქმა რად მავიწყდება!
სამი წელია მას შემდეგ სწორედ,
რაც დევთ შეგვიპყრეს—ქმრები გაგვიწყდა...
საღამო იყო... უკანასკნელ სხივთ
მზე ჩვენს მიწასა მკრთალად აფენდა...
ნიავი გრილი მსუბუქი ფრთითა
ზღვით მოსცურავდა, ჩვენსკენა ჰფრენდა!
ეზოს გავცილდით: სამღედიშვილი
მე სასეირნოდ მთისკენ მიმყავდა.—
სუფთა ჰაერზე ნავარდი მისი,
ხტუნვა-ცელქობა ბავშის მიყვარდა!
მხიბლავდა ის, რომ არაფრის მცოდნეს
ყოველის ცოდნა ჰქონდა ბავშური.
ჩემი ესმოდა, მისი მესმოდა,
გულში არ გვქონდა მტრობა დ შური!
(აღტაცებით)
იასა და ვარდს ვესტუმრებოდით.
იმათთან გვქონდა ჩვენ საუბარი!
მდინარის დუდუნს პირველს ვეტყოდით,
და მოგვძახებდა მთლად მთა და ბარი!
მაღლობზე ხშირად იმასთან ერთად
მეტის სიამით როს ავირბენდი,—
შნო, სილამაზე მისი მხიბლავდა,
საღამოს მოთქმას ყურს დაუგდებდი!
იმ საღამოსაც გავყევ მინდორსა,
მაღლობზე აველ და, ჰა, რა ვნახე:
შავად შეეკრა მთის იქით არეს
ავადმეტყველი, პირქუში სახე!
მე შემეშინდა—უკან დავიძარ,
მაგრამ პატარამ არ ჰქნა, წინ მწევდა!
„შეხე, დედაო", მითხრა, გაფითრდა
და აგზნებული თითებს იკბენდა.
აშავტეხილდა, იგრგვინა მიწამ,—
მისი სიღრმიდან კვნესა აღმოსკდა!
და სამღედიშვილს—საკვირველობავ!
თვალთაგან წმინდა ცრემლი წამოსკდა!
გაჩნდა ბურუსი განუჭვრეტელი:
ღმუოდა მწარედ ქარი-ტეხილი,
(აღელვებით)
და ხმა მოგვესმა საშინელ ძალის,
სადღაც ძირიდან აღმოხეთქილი?!
„მიცან?" გაისმა... ბავშიც ატირდა,
მომეკრა გულზე ცახ-ცახ—კანკალით!
უმალ დავბრუნდი... წყვდიადი იდგა
გამოწვეული უცნაურ ძალით!
მოვდიოდი და გზას ვერ ვარჩევდი,—
ვიღუპებოდი, ღონე მიხდილი!
მაგრამ წინ სვეტი ნათლის გაგვიჩნდა
და გაგვინათა მან ჩვენ მანძილი!
მძაფრი კვნესა კი მისწყდა სადღაც შორს,
მის წილ მოგვესმა ტკბილი ჰანგები!!!
ბავში აენთო, და გაიღიმა
ცეცხლად აღიგზნენ მისი თვალები!.

**წყალ-მიწა.** (გააწყვეტინებს)
კმარა, ჰაერმან! წინასწარ არის
ბედი შვილისა გადაწყვეტილი! (საიდუმლოდ)
დაიმახსოვრე: „შორს არ არის დრო,
როს ბოროტებას დასძლევს კეთილი!!
(ჰაერმანი პირს მიიბრუნებს, სჩანს, რომ არ სჯერა, ხოლო წყალ-მიწა შეატყობს ამას და ნაღვლიანი, ნაწყენი დარჩება... ორივე ფიქრს მიეცემა. (პაუზა).

**წყალ-მიწა.** სად არის, ნეტავ, ახლა ცეცხლანა?
შვილს დღეს ის ახლავს—მისი რიგია.

**ჰაერმანი.** (ფიქრიდან გამოერკვევა)!
იცი, ცეცხლანა დღეს მეტად ჯავრობს?
სჩანს, მწუხარება მისი დიდია! (მიუახლოვდება).
სამღედიშვილი დღეს, დაო, თურმე,
არვის ნახულობს, სულ მარტო დადის!
ხან ზღვას გაჰყურებს, ხან ტყესა და ველს,
ხან ზის უძრავად, ხან მთებს გადადის!
დღეს დილით მხოლოდ სოფლად მოსულა,
ტოლებს სიამით წაჰხუმრებია...
ერთს თურმე ჰკითხა მამის სახელი დ
კვლავ თავის ფიქრს დაჰბრუნებია!!

**წყალ-მიწა.** როს ჩემთანაა, ხშირად იცინის,
ჰხუმრობს, თამაშობს,—კიდევაც მღერის!!
მას ენაცვალოს დედა მშობელი,
მეფის გვირგვინი სწორედ მოელის!!

**სამღედიშვილის ხმა.** არა, დედილო, არ მჯერა!! ჰა, ჰა!
მგონი სალამი მომცა, როს მნახა.
აბა, მითხარი, რას ჰფიქრობ, დედა,
ნუ თუ მძინარემ მე დამიძახა?
(მისი ხმა მოისმის მთიან ადგილიდან. გაიგონებენ თუ არა წყალ-მიწა და ჰაერმანი, წავლენ იქით, საიდანაც ხმა ისმის).

**ჰაერმანი.** ამას წინ კიდევ მეხვეწებოდა:
მიამბე წყაროს რამ თქმულებაო!
რაზე ბუტბუტებს იგი ანკარა,
რას გვეუბნება მით ბუნებაო!!

**წყალ-მიწა.** მეც შევამჩნიე. უტყვსა ბუნებას
სულსა უერთებს, მისას ღებულობს...
მახვილი ჭკუით, მდიდარი გრძნობით
მოვლენათ არჩევს, ყველას ტყობილობს!

**ცეცხლანა.** (საიდანაც სამღედიშვილის ხმაა).
არა, გენაცვა, შენ მოგეჩვენა!
მე დამიჯერე!—აწ შინ წავიდეთ!
ნუ წახვალ იქით, ჰხედავ, ღამდება!..

**სამღედიშვილის ხმა.** (ვედრებით)
დედის ჭირიმე, რუზე გავიდეთ!

**ცეცხლანა.** (გამოჩნდება შორით აღელვებული).
მიდის, წავიდა! რა ემართება!
დებო, აქ მოდით!.. შეჰხეთ, დამტოვა!
(ჰაერმანი და წყალ-მიწა მივლენ).

**ჰაერმანი.** უი, ჩემს თავსა, ტყეს მიეფარა!

**წყალ-მიწა.** გაირბენს ცოტას, ისევ აქ მოვა!
(ცეცხლანა შეშინებული ხმით შესჩივის დებს).

**ცეცხლანა.** დღეს, შუა დღემდე, დაღვრემით იყო,
არას მეტყოდა, არარა სურდა.
შემდეგ თან და თან ფიქრთ გაეყარა,
ბევრი იცელქა, გამხიარულდა?
ქვები ასწია დიდი, მძიმენი,
კოდენი ააპო მან სულ ადვილად!
რუ გადალობა, ხე-მიწა—ქვებით
გზა მთლად მოუსპო მან სამდინრად!
შეგუბდა წყალი, ძლიერ იმატა,
ნაპირს გადვიდა, ჩაიხმაურა!
ველს გადაესხა და მწვანე მდელო
მილეკ-მოლეკა, სილით დახურა!
შემდეგ კვლავ მისცა ნაკადს სავალი,
მანაც ელვასებრ ჩაირაკრაკა...
მაშინ მომვარდა: „დედა, იციო,
რომ რა მომითხრო, მელაპარაკა"!

**წყალ-მიწა.** (სათნოებით)
მგონი, მოგვესწრო შვილი-იმედი,
ის დავაჟკაცდა. ხედავთ, რას ჩადის?
შთამამავლობით მადლი და ნიჭი
შვილიდან შვილზე, სჩანს, რომ გადადის!!
(ხმა-დაბლა.)
უხსოვარ დროიდან მაგისი რჯული
სულ სჭვრეტს არსებულ ამოცანასა?
ქვეყანათ ბრუნვას, სამყაროს ამცნემს
მისი არსების გამოცანასა!..
(საიდუმლოდ)
„მზისთვალას" ეძებს ყოველგან კაცი!
ყოველ საგანში სურს, რომ მონახოს
ეს განძი ქვეყნის!.. დასაბამიდან
კაცი მას მისდევს და სულ ის ახსოვს!!

**ცეცხლანი.** განა იმ ტყეში, სადაც დაღუპეს
მტერთ ჩვენი ხალხი, იგი არ იყო?
მაგრამ დრო-ჟამი ხელს არ გვიწყობდა,
და ვერ იპოვნეს, მდევმა წაიღო!

**ჰაერმანი.** გამიგონია: ის რომ კაცს ჰყავდეს,
მიწა იქნება ბედნიერიო!
ყველაფრის მცოდნე გახდება კაცი —
სრული ბატონი და ძლიერიო!!

**წყალ-მიწა.** მაგრამ მის პოვნა მეტად ძნელია:
ზეცა იცავს და შავი უფსკრული?
(დაღონებული) ბევრი იმსხვერპლეს მდევთ მძებნელები...

**სამღედიშვილის ხმა.** ბაბუა, არა!
არა და არა, ვერ მოვალ შენთან!
(დედები გაოცდებიან)

**ბაბუას ხმა.** ნეტავ ვიცოდე,
რად ემდური, შვილო, ბაბუას?
მიზეზს მამცნობდე, ნეტავ იტყოდე—
ისე ნუ დამსჯი მოხუცს, ბაბუას!!
(გამოჩნდებიან ბაბუა და სამღედიშვილი ერთი მეორეზე დაშორებით. მოხუცი წელში მოხრილია, გათეთრებული, მაღალი ტანისა და ღრმა გამომეტყველების).

**სამღედიშვილი.** (მიუახლოვდება ბაბუას. დედებიც მათკენ წავლენ. სამღედიშვილი ჩივილით ამბობს, თამამად ლაპარაკობს. დედებს შეჰხედავს. მისი სიტყვებიდან სჩანს, რომ სათქმელი ადრე ჰქონდა მომზადებული).
ჯერ ეს მითხარი,—ვარ მე პატარა?
მჭირია, ბაბუ, მე ახლაც მოვლა?
დედათ პატივი ნუ თუ არ კმარა?
მე მსურს ვიცოდე აწ ყოველივე,
რაც თქვენ გონებას აქვს, აბადია!
რაც თქვენთვის არის, როგორც წარსულში,
ისე მყობადში ნათელ-ცხადია!
გამჩნევთ, მიმალავთ მე დიდს გასაჭირს,—
დედების სახეს ნათლად ატყვია,
იმა სა მზერას, თვალთ გამოხედვას
ჭირის ბეჭედი, ვატყობ, არტყია!
(აღტაცებული) მე ხომ თქვენი ვარ?—შვილი ვარ თქვენი!
(ბეჯითად). გამინაწილეთ, მაშ, მეც ფიქრები!
ყოველს ავიტან, გარწმუნებ, ბაბუ,
ჭირს და ვარამში ქვა-კლდე ვიქნები!
(მოხუცზე ეს სიტყვები დიდს შთაბეჭდილებას მოახდენს. იგი მხიარულს, მომღიმარ სახეს ღებულობს)

**ბაბუა.** ჰო, მესმის, შვილო, შენი ჩივილი! დამაცა ცოტა და გიპასუხებ.
**(დედებს მიესალმება)** საღამოს მშვიდსა, ქალნო ბატონნო, და გამარჯვებას მე თქვენ გისურვებთ?
(დედები თავის დაკვრით სალამს მისცემენ).

**დედები.** მობრძანდი ბაბუ!

**სამღედ.** (დედებს) ბაბუამ მნახა და დამაბრუნა!

**ცეცხლ.** (მოხუცს) მადლობელი ვარ! (სამღედიშვილს) მერწმუნე, შვილო, შებინდებისას არ ვარგა წასვლა...

**სამღედ.** განა ტყვენი ვართ?

**ბაბუა.** მე დავინახე, რომ თქვენი შვილი
სტიროდა მწარედ, ქვაზე დამჯდარი,
და დავუძახე, მაგრამ გამშორდა!
მოსვლა რომ ვსთხოვე, მითხრა უარი!

**დედ.** უიმე, შვილო! რატომ სტიროდი?
ნაღველი, სევდა ხომ არ გაქვს გულში?!
(სამღედიშვილი აენთება, ვერ იტევს მოზღვავებულ გრძნობას, მივარდება

*) იხ. „სახალხო გაზეთი" № 923.

დაცემული აქვს წ.-კ. საზოგადოების თელავის განყოფილებას, მაგრამ უსახსრობისა გამო საზოგადოება ვერას გააწყობს და, სანამ იგი საშუალებას მოიპოვებდეს, მანამდე დიდებული მამულიშვილის სახლ-კარი მთელად მოისპობა; ამიტომ საჭიროა ისევ თავად-აზნაურობამ ადრიანად მიაქციოს ამ საქმეს ყურადღება. ამავე გაზეთის 12 ივნისის ნომერში ვკითხულობთ: „მგოსანი ირ. ევდოშვილი მძიმედ ავად არის, როგორც ექიმებმა გადმოგვცეს, მას ჭლექის ნიშნები აღმოაჩნდა; საჭიროა მისი გაგზავნა სადმე სამკურნალოდ, მაგრამ მგოსანს ნივთიერი ხელმოკლეობა ნებას არ აძლევს. იმედია ქართველი საზოგადოება დახმარებას აღმოუჩენსო". ჯერ სამი თვეც არ გასულა მას შემდეგ, რაც ძვირფასი მამულიშვილი და ჩვენი ქვეყნის დიდება, არჩილ ჯორჯაძე, ცივ სამარეს მივაბარეთ; ჭლექმა მოუსპო ახალგაზდა პუბლიცისტს სიცოცხლის დღენი უდროოდ. ბევრი ვიტირეთ და ვიგლოვეთ, მთა და ბარი შევძარით, მაგრამ ვერაფერი გავაკეთეთ. დასაფლავებიდან ერთი კვირის შემდეგ დაიბეჭდა რუსულ და ქართულ გაზეთებში საყვედური იმის შესახებ, რომ არჩილ ჯორჯაძეს თვითონ სახსარი არ ჰქონდა, საზოგადოებამ კი ნაკლები ყურადღება მიაქცია, დროზე არ მიიღო ზომები იმის საექიმოდ, რომ განსვენებულს კიდევ ქართველი ერის სასიქადულოდ 4—5 წელიწადი მაინც ეცოცხლაო და სხვა... ამ საყვედურმა უკმაყოფილება გამოიწვია; უკმაყოფილების გამომთქმელნი გვარწმუნებდნენ, რომ მათ მეგობრებს არჩილ ჯორჯაძისათვის მოვლა და პატრონობა არ დაუკლიათ; სიმართლე მოგახსენოთ, მე ამის შესახებ ვერაფერს ვიტყვი, ხოლო ის კი ვიცი, რომ ბავშობიდანვე განსვენებული არჩილი მეტად ზრდილობიანი, მორიდებული და ხათრიანი ადამიანი იყო; სიმშილიღაც რომ მომკვდარიყო საზოგადოებისადმი მიმართვა ძლიერ გაუჭირდებოდა; ათიოდე დღის განმავლობაში აგვალაპარაკა არჩილის სიკვდილმა, სხვადასხვა აზრი გამოგვათქმევინა ჩვენი უმწეო მწერლების ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებ. **სალიტერატურო ფონდის** დაარსების შესახებაც კი აღიძრა ლაპარაკი, მაგრამ ყოველივე, ჩვეულებისამებრ, დავიწყებას მიეცა. რომელიმე კულტურულმა დაწესებულებამ ახლავე უნდა იკისროს თაოსნობა ასეთი ფონდის დაარსებისა. მანამდე კი ქართველ საზოგადოებას მართებს დაუყონებლივ დახმარება გაუწიოს მგოსანს ი. ევდოშვილის სამკურნალოდ თორემ საქმის წახდენის შემდეგ გლოვა-ტირილი და წუწუნი ფარისევლობად ჩაგვეთვლება. ყოველმა შეგნებულმა ქართველმა რომ თითო-ოროლა ფარა მიაწოდოს ერთდროულად, გვარიანი თანხა შედგება. მე ჩემის მხრით, როგორც ღარიბი სახალხო მასწავლებელი, ამასთანავე ვგზავნი რედაქციაში ამ მიზნისათვის ერთ მანეთს.

**ლადო ბზვანელი.**

# მოწერილი ამბები

**ს. ტოლა** (რაჭა). ეს სოფელი მდებარეობს მდ. რიონის პირად ლეჩხუმის საზღვარზე და შეადგენს ხვანჭკარის საზოგადოების ნაწილს. აქაური მკვიდრნი მშრომელი და მუყაითი ხალხია; მ. ხოვრებნი განურჩევლად წოდებისა, უმეტეს ნაწილად მევენახეობას მისდევენ, თუმცა საუბედუროდ, აქაურმა გლეხმა ახალი სისტემით ვენახების კეთება ჯერ არ იცის, ხოლო ადამის დროის მუშაობა კი დღეს გამოუსადეგარი შეიქმნა.

აქაურ სიმდიდრეს ერთად-ერთი ღვინის მოსავალი შეადგენდა. ვის არ გაუგონია „საყიფიანოს" ღვინის ქება. ახლა კი ვენახებიც ხმება და ღვინის მოსავალმაც შესამჩნევად იკლო.

13 ივნისს ამავე სოფლის სამმართველოში მოხდა კრება მევენახეობისა და მებაღეობის გაუმჯობესების შესახებ ბ. კ. ბერეკაშვილის თავმჯდომარეობი.. კრებამ ითათბირა ხსენებული საკითხის შესახებ და სხვათაშორის დაადგინა, რათა რაჭა-ლეჩხუმის სხვა და სხვა სოფლიდან მოიწვიონ რაიონის კრებაზე ნოემბერს ხვანჭკარის სასოფლო სამმართველოში შეგნებული მემამულეები, სადაც შემუშავდება ღონისძიებანი მევენახეობისა და მებაღეობის წინმსვლელობისათვის. ამავე კრებამ აარჩია საცდელი სავენახე ადგილი გლ. ლომთაძისა ოსეთის სამხედრო გზატკეცილის პირას. კრების განზრახვა თუ სისრულეში მოვიდა თავის დროზე, იმედი უნდა ვიქონიოთ რაჭა-ლეჩხუმის წინმსვლელობისა. ვუსურვებთ ბ. კ. ბერეკაშვილს (აგრონომია), როგორც დღეს არ დაიზარა აქა-იქ ვენახების დათვალიერება და პირველს, დაწყებით კრებაზე გამოიჩინა ენერგია, აგრეთვე მომავალშიაც დაეგვირგვინებიოს ეს მნიშვნელოვანი საქმე ხალხის საკეთილდღეოდ.

**რაჭველი გლეხი.**

**სოფ. ვახანი** (ზემო იმერეთი). ადგილობრივ ორ კომპლექტიან სამინისტრო სკოლაში მოხდა გამოცდა 6 და 7 ივნისს, რომელსაც, თანახმად სასკოლო მთავრობის განკარგულებისა, თავმჯდომარეობდა სოფ. ლელვანის სკოლის გამგე მიხეილ დეკანოსიძე. ვახანის სკოლა შესდგება ოთხი განყოფილებისაგან, სადაც 90-ამდე მოწაფე სწავლობს. სკოლის მასწავლებელნი მხნე და მუყაითი ყოფილან, რის გამოც სწავლების საქმე საერთოდ კარგად არის დაყენებული. დიდი ყურადღება აქვს მიქცეული კალიგრაფიულ წერას. პირველ განყოფილების ბავშვებსაც კი ისე ლამაზად უწერიათ, რომ კაცს დედანს მოაგონებს. ყველა ამ სიკეთესთან, ამ სკოლაში რამოდენიმე შეუწყნარებელი შეცდომაც მოიპოება:

ა) განდევნილია ი. გოგებაშვილის „რუსსკოე სლოვო"-ს მეორე ნაწილი და მის ნაცვლად ისწავლება ზედგინიძის და ჯაფარიძის სახელმძღვანელო.

ბ) განდევნილია „ბუნების-კარი" და მის მაგიერ ასწავლიან „გუთანს" და ს. ქვარიანის ისტორიას.

გ) პირველსა და მეორე განყოფილებაში ნაკლები ყურადღება აქვს მიქცეული რიცხვების შეფარდებას, ტიპიურ ამოცანების კეთებას და თარგმნითი მეთოდს.

დ) მეორე განყოფილებაში ანგარიში უმეტესად რუსულად უსწავლებიათ. ასეთი წესით სწავლებას ის ნაყოფი მოუტანია, რომ მესამე განყოფილების მოწაფეებს თითქმის დავიწყებიათ ასის ფარგალში გავლილი ზეპირი ანგარიში.

ვ) მეოთხე განყოფილებაში ისწავლება ოთხი, სრულებით არა სავალდებულო, შემდეგი საგანი: რუსული ისტორია, რუსული გეოგრაფია, გეომეტრია და „ესტესტოვედენიე". მართალია, ეს განყოფილება უმეტესად ძველი მოწაფეებისაგან შესდგება, მაგრამ მაინც უნაყოფო შრომად და რაღაც მეტიჩრობად მიგვაჩნია ერთ კლასიან სკოლაში ასეთი საგნების სწავლება. რადგან პროგრამას გადაშორებია ამ სკოლის გამგე, უფრო ნაყოფიერი იქნებოდა, ესწავლებია სამშობლო ისტორია, სამშობლო გეოგრაფია და საბუნების-მეტყველო საგნები.

ვ) არც ერთი ქართული გაზეთი და პედაგოგიური ჟურნალი არ მოსდით ამ სკოლის მასწავლებლებს. სწორედ ეს გარემოება უნდა იყოს მიზეზი ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოების განდევნისა, თორემ გოგებაშვილის პოლემიკურ წერილებისათვის რომ თვალ-ყური ედევნებინათ, ასეთ შეცდომაში არ ჩავარდებოდნენ. საერთოდ, მასწავლებლებს დიდი შრომა და ენერგია დაუხარჯავთ, რისთვისაც მადლობისა და ქების ღირსნი არიან. საღვთო სჯულის მასწავლებელი, მ. ალექსანდრე არევაძე დიდი თანამგრძნობი ყოფილა სკოლის. მისი შემწეობით გადაკეთებულა ეს სკოლა ორ კომპლექტიანად. ხუთი თუმანი შენობის ასაგებად შეუწირავს და დღესაც მხნედ განაგრძნობს სკოლისადმი მოღვაწეობასაო.

**რისხვა.**

# ქართველი—ქია

ბევრი ვიარე, გადავიარე
იმერ-ამერი, მთელი კოლხიდა
და—გამოვტყდები—ჩემს სიცოცხლეში
ერთი რამ მხოლოდ მე გამიკვირდა:
ვნახე ღრუბლებზე ნაშენი ციხე,
ვნახე არწივის ფრთებზე ტაძარი,
ზღვის ზვირთის წვერზე ამოვიკითხე
თავ-განწირული ბრძოლა საზარი;
თვალი გადავკარ იალბუზს—თავ-თეთრს—
გუმბათზე მთვარე იქ მომეჩვენა,
ეს იყო თურმე ძველი ივერის
სიამაყე და ზე-აღმაფრენა!
მაგრამ ყველა ეს არ გამიკვირდა—
გმირთ ამბავი რა გასაკვირია...
მე გამიკვირდა, რომ ძირს ჰლოღავდა
დიდების შვილი—ქართველი—ქია!

**ი. ევდოშვილი.**

# მუშათა ცხოვრება

✦ ლოძში შეიბლერის ფაბრიკის მუშებმა ამ ორი კვირის წინად მოთხოვნილებანი წარადგინეს. ეხლა გაიფიცა 2500 მუშა. მოსალოდნელია ყველა სამანიფაქტურო ფაბრიკის დაკეტვა.

✦ ორანიენბაუმში გაიფიცნენ ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურენი მიზეზი—ბინის უვარგისობაა. უფროსმა პოლიციას დაუძახა და ოქმი შეადგინა. ყველა მოსამსახურეს სამართალში მისცემენ.

✦ იზოლინგის თუჯისა და მექანიკურ ქარხანაში სამ კვირაზე მეტია გაფიცვა. მუშებმა კრება გამართეს და დაადგინეს გაფიცვის გაგრძელება. სამექანიკო განყოფილება დაიკეტება.

✦ ლესნერის ყველა სასწრაფო სამუშაო სხვა ქარხნებს გადასცეს.

✦ კოჟევნიკოვის სამანიფაქტურო ფაბრიკის მუშებმა წარუდგინეს ადმინისტრაციას ხელფასის მომატების მოთხოვნილება. მეორე დღეს ადმინისტრაციამ გამოუცხადა მუშებს, რომ მოემატებათ ნაჭერზე 5—10 კ. ხოლო შავს მუშებს ორი მანეთი თვეში.

✦ გაზეთ „ლუჩში" დაბეჭდილია წერილი გურულ მუშებისა „რუს ამხანაგებისადმი". წერილის აკტორები სალამს უძღვნიან მორეულს ამხანაგებს, ამხნევებენ და ჰპირდებიან დახმარებას.

✦ რიგაში გაიფიცნენ სალამანდრას ფოლადის ქარხნის მუშები და წარადგინეს ეკონომიური მოთხოვნილებანი.

✦ ლოძში ლოკაუტი გამოუცხადეს შეიბლერის ფაბრიკამ 7,300 მუშას, გინცელის და კუნიცერის ფაბრიკამ—4,000 მუშას და როზენბლატისამ—2,500 მუშას.

✦ ვილნაში დაატუსაღეს მრავალი მუშა საჩექმე სახელოსნოებში, თუმცა მათი მოთხოვნილება მხოლოდ ეკონომიური იყო.

✦ ლიბავაში დამთავრდა „პლუტონის" ქარხნის მუშების ექვსი კვირის გაფიცვა. გაფიცულებმა ნაწილობრივ მიიღეს ახალი მუშები და ყველას ფასები დაუკლეს. ზოგი გაფიცული მუშა დაატუსაღეს.

# წვრილი კრედიტის
## ამხანაგობანი ჯავახეთში

ამ ბოლო ხანებში რაღაც გამოცოცხლება დაეტყო ამ კუთხეს. ბედმა და გარემოებამ გაუღიმეს და თვით ცხოვრების შეგუბებული ატმოსფერაც გაიფანტა. უპირველესად აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მთელი აქაური სოფლები იფინება ახალი, სასარგებლო დაწესებულებებით „წვრილი კრედიტის" ამხანაგობებით. ამ ჟამად შემდეგ სოფლებში მოქმედებენ ამხანაგობანი: ბარალეთში, ალასთანში, განძაში, კასნახში, ეშტიაში, დილისკაში. ხოლო ხერთვისში, ხიზაბავრაში და ჰილდაში განზრახულია ახლო მომავალში დაარსდეს. შუამდგომლობაც აღძრულია, სადაც ჯერ არს. საქმე ისაა, რომ ამ გვარი კოოპერატივები აქეთ ახალი საქმეა. თვით გლეხობას ამ ჟამად მეტად ბუნდოვანი, გამოურკვეველი წარმოდგენა აქვს მათზე. აქაურ სოფლებშიც ინტელიგენცია ნაკლებად მოიპოვება. მღვდელსა და მასწავლებელზეა მხოლოდ დამყარებული ბედი, ავკარგიანობა და ნაყოფიერება ამ ახალ დაწესებულებათა. დიდი უნარი და ენერგიაა საჭირო პირველ შემთხვევაში, რომ ზედმიწევნით შეისწავლონ ეს საქმე და სადი, ჭეშმარიტი ახსნა-განმარტება მისცენ ხალხს. საჭიროა პირველშივე მკვიდრი ნიადაგი მოუმზადდეს ამ დიად საქმეს. გლეხ-კაცს ერთი ახირებული ზნე სჩვევია: უნდობლად შეხვდება ხოლმე ამგვარ საქმეს და სულ იმას გაიძახის: მოგვატყუებენო. ეს თვისება თან დაყოლილი არ გეგონოთ. დროთა ბრუნვამ, სხვა და სხვა საამხანაგო, საერთო საქმის დაღუპვამ შეაჩვია გლეხი ურწმუნოებას, უნდობლობას. ამიტომ დიდი შრომაა საჭირო, რომ შეასმინონ წევრებს უმთავრესი მიზანი და დანიშნულება ამგვარი ამხანაგობისა. ამის გასაადვილებლად დიდ სამსახურს გაუწევს დამრიგებელ-ჩამგონებელთ სხვა და სხვა საპაგალითო წესდება, რომელიც ქართულ ენაზედაც მოიპოვება. სოფლის მესვეურნი დღეს, ასე თუ ისე, წინ უძღვებიან ხალხს ამ ახალ საქმეში: მათზეა და

---

ღედებს, ჩაეხვევა. ბაბუ ბრწყინავს, განზე გამდგარი).

**სამდედ.** არ დაგიმალავთ, (სწრაფად) მტკიცე ვარ, დედა,
მე წრფელს გრძნობასა ლ სიყვარულში!
ულეველია ჩემში თქვენსადმი
პატივისცემის გრძნობა, სურვილი!
ღრმად ჩასახულა ჩემს არსებაში
თქვენი დედობა, ესოდენ ტკბილი!
მაგრამ ვერ მითქვამს მე იგი სრულად
ვერ ავყოლილვარ მის აღმა ფრენას!
ფრთებს ვიკვეც ხოლმე, დაბლა
ვეშვები და გულს ვუკრძალავ ტოკვას და ძგერას!
ამგვარად იგი ჩემში, მშობლებო,
მუდამ დაბორკილ-დაჯაჭვულია.
რადგანც ერთი რამ ჩვენს ერთობაში
თითქო მომწყდარი, დაკარგულია!
ოდეს ვიცინი, ვმღერი, ვთამაშობ—
მსურს მხოლოდ ერთი—თქვენი სიამე
თორემ აქ... გულში ცეცხლი ანთია
ჩუმად მწვავს სევდა მწარ-გეს ნი!
მიტომ მეცვლება ხშირად გუნებ
რომ მე ვერ მითქვამს გულის ნადება!.
თქვენშიაც ვხედავ, ვით ჰფარავთ ჭირსა!
ვით მალულია თქვენი დარდები!!
მოშორდება დედებს, ჩაფიქრდება)
და თითქო თავისთვის ლაპარაკობს).
...და მგონია ყრმას, თითქო ჩემს ირგვლივ
უტყვთა საგანთა არის თქმულება!—
მეტყველობს ვითომ ყოველი არსი,
მომითხრობს რასმე თითქო ბუნება!
ხშირად მსურს დავრჩე განმარტოებით
და მოვუსმინო ჩემსავ გულისთქმას!
მაგრამ ვგრძნობ, მის წილ ვუსმენ სულ სხვა ხმას,—
არემარისა და ჩემსა წყნარ თქმას!
მესმის მე ხშირად ლექსი, გალობა,
მაღალი ჰიმნი და ცით ძახილი,
მესმის ჰიმნი რამ სამყაროისა,
ვით ჟღერა სიმთა, მწყობრი და ტკბილი!
(ღელდება თან და-თან) ხან კი—სულ სხვა რამ, წინააღმდეგი,
ხმები, თქმულების ჰანგი სხვა გვარი:
ჰქრის, მწარედ ჰღმუის—საშინელი ხმით
ზღვის ტეხილი, ვით მძლავრი ქარი!
და მის ღმუილში გმინვა მოისმის,
რისხვა და წყრომა გულშემზარავი!
თითქო აღდგა მთლად ბოროტება
ვით—ჯოჯოხეთი, მკაცრი და ავი?!
მიწის ცრემლ-მოთქმა, წყალთა შხული,
ჭექა და მეხი, ზღვის ბობოქარი:—
ცა იღუშება, გარს ღრუბელს იფენს
ფართოდ ეღება ბოროტ ძალთ კარი!
(უახლოვდება თან-და-თან ბაბუას. ამ მონოლოგის ბოლოში ბაბუას ხელები სამდედიშვილის მხრებზე აქვს).
და ამ ხმაურში ვისმენ ჩემ სახელს...
ბრძოლის ხმა მესმის სასტიკ მქუხარი!
მსურს გადავეშვე მაშინ მე უფსკრულს,
შევჯაჭვ-შევბორკო, ვძლიო მე ქარი,
და გავამეფო ქვეყნად ხმა ტკბილი!
ის ხმა, რომ მესმის, ვით ჰარმონია,
და რომ მართლადაც ბრძოლა დავიწყო,
მტერს დავამარცხებ, ასე მგონია!

**ბაბუა** (აღტაცებული. სამდედიშვილი გულში ჰყავს ჩაკრული).
სამ-დედათ შვილო, ერთგან ნაშობო,
იმედო ჩემო, ჩამეკარ გულში!
კაცთა ვარსკვლავო, მხსნელო, ნუგეშო;
მსურს დავილიო შენს სიყვარულში!..
(გადაეხვევა. დედები ახლო მივლენ, მათ ეხვევიან).

**ცეცხლანა.** ჩემო იმედო! ჩემო ნუგეშო!

**ჰაერმანი.** მზის მონაშუქო, სხივით აღზრდილო.

**წყალ-მიწა.** სულო, შექმნილო ჩემი გულიდან,
ჩემი არსების წონით აღვსილო!!
(სამდედიშვილი გახარებული ბაბუას შეჰყურებს თვალებში. ბაბუა მოიშორებს მას. ხელს მხრებზე დააწყობს. მზე ჩამავალი უკანასკნელ სხივთ წითლად მოჰფენს ეზოს).

**ბაბუა** ისმინე ახლა, ყრმაო, ჩემი თქმა,
მომაპყარ მოხუცს გონების ყური!
წლიდან-წლობამდე ვუცდიდი ამ ჟამს,
და დღეს მოვესწარ მას, წამებული!
მსურს ვისარგებლო ამ წუთით მისთვის,
რომ ავასრულო მე ჩემი ვალი
და ღირსეულს შვილს გადავცე ყველა:
წარსულ დრო-ჟამის ბრუნვა, გზაკვალი!
შენ მოგცემ კლიტეს, მე რომ მიჭირავს,—
დროთა მსვლელობამ რაც დამანახვა.
მის მოსათხრობად საუკუნიდან
საუკუნოზე მე მან დამ'ახა!
საღამო არის, მზეც ჩამავალი...
მას ჩავაყოლებ მე თან ჩემს ნებას,
ასწლის მოხუცის ღრმა ამოკვნესას,
ლტოლვილი სულის სწრაფვა-კვეთებას!
დილას კი, ახალ განთიადის სხივს
მსურს, შენ დაუხვდე ტკბილი გალობით,
და განაბნიო მუნ შავი-ბნელი.
შენის ზეაოსვლით და ზემაღლობით!
...უხსოვარ დროდან ქვეყნად გაისმის
შეუწყვეტელი გმინვა მიწისა...
მძიმეა ტვირთი საუკუნეთა,—
წილად ხვედრილი ადამიანის!
სისხლის მორევში, რაც მის ზედაპირს
დაგუბებულა, ცურაობს კრული;
ცურაობს იგი უგზოდ, უკვალოდ,
უორკეცდება იარა-წყლული!
წყვდიადი მეფობს, შავი-უკუნი
განაგებს ყოველს ამ ქვეყანაზე.
ძრწის სული კაცის, გასავალს ეძებს...
სინათლე უნდა, ლოცულობს მასზე!
და, ჰა, განსჭვრიტა მან მაღლით ზეცა,
მიჰმართა მის შუქს, ხელი აღაპყრო!
შეთხზა ლოცვები და გულ-მხურვალედ
შესწირა მსხვერპლი აღურაცხელი!
შეხედე აბა, ვითარ ეკუთვნის
ყოვლის გამგეს ცაში ცხოვრება?
მიუწდომელი, წმინდა ლაჟვარდი —
იქ უნდა იყოს ღმერთის სუფევა.
დრონი კი რბოდნენ, და არ ეშველა
კვლავ ყოველს იცავს ქვეყნად წყვდიადი.
მაღლით კი ბრწყინავს... შვენის, ლაპლაპებს
ის მიუვალი, გამგე-დიადი!
... შესცვალა კაცმა თვისი აზრები...
სხვა მხრით მიეპყრნენ მისი თვალები!
ყოველს კუთხეში შეიჭრა იგი,
და ამოქმედა თვისი ძალები!
მის წინააღმდეგ აქ აღემართენ
უხილავ ძალნი—ბატონ—მთავარნი!
შეჰკრეს კავშირი — შეზავ — შეერთდნენ
და კაცს მოუჭრეს გზები სავალნი!!)
სწორედ აქ იყო, რომ მამა შენმა—
გმირმა უბადლომ, გაჰკვეთა ბნელი!!
მაგრამ... ვერ შესძლო ეს საქმე ძნელი!
(მიუახლოვდება, თვალს არ აშორებს სამდედიშვილს. დედები ამოიოხრებენ).
თვალი ყოვლისა, რომლის დაპყრობა
ახდის შავს ზეწარს ყოვლისა არსსა,
გამცნობს უტყუარს მცნებას და ცოდნას,
არსთა ჭეშმარიტს ის შინაარსსა,—
მდევთ ჰყავთ პყრობილი ცის დახმარებით
ვით ტყვე, მალულად, მთის ერთს მწვერვალსა;
იქ ვერ მისულა ადამის შვილი,
ვერც მიუგნიათ ჯერ მისი კვალი,
„მზისთვალა" არის მისი სახელი...
„მზისთვალა"... დიახ! ჯერ უნახავი.
მის მოპოვება—გამარჯვებაა,
არ მოპოვება—ცხოვრება შავი,—
კვნესა, ტირილი, მოთქმა — ცრემლები,
მონობა მწარე, გულ შემზარავი!
ხოლო გაჰქრება კაცთ მწუხარება
ესოდენ მძიმე, ესოდენ მწვავი,
ოდეს მიაგნებს „მზისთვალას" მალულს,
მდევთ გამოსწირავს მისსა უფლებას,
მაშინ გახდება კაცი გვირგვინი
და ლაამშვენებს იგი ბუნებას!!

**სამდედიშვილი.** (აღტაცებით)
მე ვიქ ამ საქმეს! მე გამოვსწირავ
„მზისთვალას" იმ მდევს.., ზეცას მე ავალ!

**ბაბუა.** (ამ მონოლოგის დაწყებიდან ბოლომდე მოხუცს ეტყობა დაღლევა, სამდედიშვილს კი წინააღმდეგ—მოხუცი იღლევა, ოდნავ შესამჩნევად ქრება, სამდედიშვილი-კი იზრდება, მატულობს).
ვიცი... მე ვიგრძენ ეს, ჩემო შვილო,
ვიცი იბრძოლებ, ომად შენ წახვალ!
მიტომაც გითხარ მე ყოველივე,
რაც მოისმინე ჩემგან შენ თქმული!
მოდი, მაშ, ჩემთან, გადაგეხვევი ..
(გადაეხვევა)
სალტად შეგეკვრის მოხუცის გული!
(პაუზა)
(ბეჯითად) კვანძი გაჰკვეთე! უშველე მიწას!
განკურნე იგი—მისი შვილი ხარ!
მტერი დასძლიე... ამცნე კვცთ ძალა..
გამეფ-გადიდდი, ამის ღირსი ხარ!..
მომეკარ მაგრად, გულზე მომეკარ!
აქ ღელვა არის, ჩუმ—ბობოქარი,
ყური დაუგდე! დე, გადმოგეცეს
იმისი ცეცხლი და მისი ალი!!

**დედები.** (ლოცვით) დეე, აღსრულდეს! სულიერება
ჩვენში მსუფევი და წინ გიძღოდეს,
და გამხნევებდეს შენ ყოველ ჭირში.
წინ გიწეოდეს, გრძნობით გათბოდეს!

**ბაბუა.** დეე კავშირმან გრძელი წარსულის
დიდ მომავალთან გაგაძლიეროს,
და განუწყვეტლივ უკუნისამდე
უძლეველი გყოს, გაბედნიეროს!
შენც, დედა-მიწავ, გულისთქმა შენი
შეჰმატე შენს ღვიძლს, ასულ-გულადე,
შენსა წიაღში მოხარშე, დასწვი.
(სუსტდება თანდათან) აღავსე ღონით, გააფოლადე!..
შენ-კი, ზეცაო, უტყვად მაღალო,
უფრო იღრუბლე, იჭექ-მქუხარე,
რათა განმტკიცდეს მებრძოლის გული
შენცა განრისხდი, იჭმუნ-მწუხარე!
(ლანდი ლა დარჩება. სამდედიშვილი გაკვირვებულია, დედებიც).
შენში გადმოველ, შვილო, მიმიღე!
ამ წუთს ვუცდიდი, ამ დროსთვის ვიყავ!!

**სამდედ.** ბაბუა ჩემო, ჩემო ბაბუა,
ნუ ნუ იცვლები... ამ სახით იყავ!!

**ბაბუა.** (ძლივს ისმის მისი ლაპარაკი)..
უკანასკნელსა სხივთან მოვსწყდები!
(დედებს) ამას მიეცით მშვილდი-ისარი!
(სამდედიშვილს) მომეცი ხელი! (დედებს) გამოიტანეთ...
ეს იხმარს კარგად... და ღირსიც არი!
სამდედიშვილო! ჩვენი კავშირი,
(აღარმოსჩანს)
ახლა მტკიცეა და ურყეველი!
ხსნა არის მხოლოდ იმ მზისავალში,..
სხვაგან ვერ ჰპოვებ და ნურც მოელი!
(არას ხედავს. თვითონ გაზრდილია და თავს ვეღარ სცნობს, ხმაც ეცვლება).

**სამდედ.**—ოჰ, თავო ჩემო, რასა მოვესწარ:
იგი ჩემია,—მე გადმომეცა!
ძალა და ღონე, ლტოლვა და სწრაფვა,
თან იმედებიც გამიორკეცა!! (შეჩერდება)
მაშ, ვფიცავ! (შეჩერდება... უცებ) მშვილდი, ისარი!!

**დედები.** ახლავე შვილო, ახლავ მოგიტანთ!!
(აჩქარებით წავლენ სახლისკენ)

**სამდედ.** ნუ თუ წილად მხვდა?
ნუ თუ შევიძლებ?
განა ასეთს ტვირთს ვზიდავ, ავიტან?
(თავის-თავში გრძნობს რაღაც აქამდე უცნობ ძალას)
რა მომივიდა? ნუ თუ ეს მე ვარ?
ძილი მერევა.. მიკვირს!.. (ფიქრში)
„კურთხევა-ზავი"...
„თვით ის მზისთვალა?"—არსებათ არსი,
განძი უნახი!.. მდევთ ტყვე-ვარსკვლავი!?
(უცებ მოსწყდება და დაეძინება, ხელებ გაშლილი წევს მინდორზე და ღრმად სძინავს. სახლიდან გამოვლენ დედები. მათ მოაქვთ მშვილდ-ისარი რომ დაინახავენ შვილს მძინარეს, პირველად გაუკვირდებათ, მერე მიხვდებიან. დააწყობენ შვილის გვერდით მშვილდ-ისარს და თითოეული მიუალერსებს შვილს. ერთი სასთუმალს დაუჯდება, მასთან დანარჩენი ორიც. ნაზად უსვამენ ხელს შუბლზე და თან ნაზი ხმით უგალობენ შემდეგს.)

**დედები** (ჰგალობენ). ნანაო შვილო.
სამ დედათ ღვიძლო,
შენი ჭირიმე!!
გულ-ღია ვარდო,
ტურფავ და კარგო,,
ტკბილად გვიღიმე!
ყვავილთ სურნელი,
სავსე და მრთელი
ნანას გიგალობს!
უაღრეს გრძნობა
და სათნოება
მარადის გწყალობს!
(ნანა შვილო, სამდედათ ღვიძლო და სხვ.)
გამოიძინე,
ძალ შეიძინე!
ამაღლ-ადიდდი!
ქვეყნის სახსნელად,
ყოვლის სასმენლად,
ამოგვიბრწყინდი!
(პირველი „ნანაო შვილო" და სხვა)
მთის წვერზე ადი,
სივრცეს გადადი!!
ცას ასწ დი, ვარსკულავს!
მაღალ გონება,
უცნობ ბუნება
აცან მომაკვდავს!!
(კვლავ „ნანაო შვილო" დ სხვა).
ამათ გალობაში ნენლ-ნელა ჩამოეშვება ფარდა.

**ლეო ქიაჩელი.**

(შემდეგი იქნება)

მოკიდებული ავიც და კარგიც. უვიც ხალხს ჩაუბარებია მათთვის თვისი ბედი, ენდობა მათ. ინტელიგენტებმაც იმდენი მოქალაქობრიობა უნდა გამოიჩინონ რომ ხალხს იმედი გაუმართლონ, დაუმტკიცონ თავიანთი უანგარობა, მათდამი გულ-შემატკივრობა და საერთო საქმისადმი ერთგულობა. თითქმის ყველა სოფლებში საბჭოსა და გამგეობის წევრებად მასწავლებელ-მღვდლები აურჩევიათ, მცირე ნაწილი კი გლეხები. კარგი იქნება თუ კი ისინი თანამოსამსახურე გლეხებს ჩაახედებენ საქმეში, შეასწავლიან მათაც საქმის ვითარებას, რათა შემდეგ გლეხებს მიეცეთ შეძლება გონივრულად გაუძღვნენ ამხანაგობის საქმეებს და სხვის შემაცქირალნი არ იყვნენ, პირველ ხანებში რაიმე გასამრჯელო-სასყიდელზე მეტია ლაპარაკი, ვინაიდან ახლად დაწყობილ საქმეს გასავალი მცირე უნდა ჰქონდეს, სანამ გაღონიერდება.

ვუსურვებთ ახალ დაწესებულებათ და მათ მესვეურთ, კეთილად წაეყვანოთ საქმე. ვუსურვებთ, რომ წვრილი სესხი მალამოდ დასდებოდეს გლეხის ჭრილობას და წინ წაეწიოს მათი დუხჭირი ცხოვრება.

**ქსნის-პირელი.**

# უცხოეთი

**არაბთა კონგრესი.**

ახლა-ხან გათავდა სირიელ და მესოპატამიელ არაბთა კონგრესი პარიზში, რომელიც გამომხატველი იყო არაბთა ეროვნული მოძრაობისა. ამ კონგრესის უმთავრესი საკითხი იყო: მომავალში არაბთა ვილაეტების (ოლქების) თვითმართველობის მოწყობა. კონგრესმა ამის შესახებ რამდენიმე დადგენილება გამოიტანა. თვითმმართველობის განსახორციელებლად, რისთვისაც არაბების გადაწყვეტილებით ყოველი ღონისძიება უნდა იქნეს მიღებული. საჭირო რეფორმების გეგმა შემდეგია: უპირველესად ყოვლისა საზოგადოენად იმ ქვეყნებში, სადაც არაბები სახლობენ, არაბული უნდა ითვლებოდეს. ასეთ ქვეყნებს ეკუთვნიან ოლქები: იერუსალიმისა, დამასკისა, ბაღდადისა, ბასრისა, მექისა და მრავალი სხვ. შემდეგ კონგრესი მოითხოვს, რათა არაბეთში მოხელეებად არაბები იყვნენ ან და არაბების შთამომავალნი, მოითხოვენ აგრეთვე, რომ სამხედრო ბეგარა არაბებმა მშვიდობიანობის დროს არაბეთშივე მოიხადონ. ავტონომიის შესახებ კონგრესმა მიიღო ფორმულა, რომელშიაც გამოთქმულია სურვილი, რომ ავტონომია, რაც შეიძლება მალე იქნეს მიღებული არაბეთში. კონგრესმა დაადგინა, რომ თვითმმართველობის შემოღების შემდეგ, მის საფინანსო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად სახელმწიფოს საერთო ხაზინამ უნდა გაიღოს იმის ნახევარი, რასაც არაბები იხდიან ყოველ წლივ. ბოლოს არაბებმა მოითხოვეს, რომ ოსმალეთის პარლამენტში მათ დათმობილი ჰქონდეთ იმდენი ადგილი, რამდენიც მცხოვრებთა რიცხვს შეეფერება. კონგრესის თავმჯდომარის აზრით, არაბებს იმედი აქვთ, რომ ოსმალეთის მთავრობა დააკმაყოფილებს თხუთმეტ მილიონ არაბის მოთხოვნილებას. თუ ვინიცობაა ოსმალეთი არ დასთანხმდა რეფორმების შემოღებასა, მაშინ არც ერთი არაბი აღარ დარჩება ოსმალეთის მთავრობის სამსახურში და ამით, სხვათა შორის, აიძულებენ მას კონგრესის დადგენილებათა განხორციელებას.

# საკანონმდებლო დაწესებულებებში

**კოკოვცევის აზრი საერობო რეფორმის შესახებ.**

15 ივნისს დეპ. ანტონოვი და ვარუნ-სეკრეტი ეწვიენ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, როგორც უპარტიო საერობო ჯგუფის წარმომადგენელნი. დეპუტატებმა მოახსენეს კოკოვცევს ის პროექტი, რომელიც ჯგუფს აქვს განზრახული შესახებ 1890 წლის საერობო დებულების რეფორმისა. სხვათა შორის დეპუტატებმა ისიც აღნიშნეს, რომ ჯგუფის შემადგენლობაში შედიან სულ სხვადასხვანაირი პოლიტიკური რწმენის დეპუტატები გარდა უკიდურეს მემარცხენეთა და მემარჯვენეთა. ჯგუფს აქვს მიზნად შეიმუშავოს ისეთი ღონისძიებანი, რომელთაც შეეძლებათ პრაქტიკულად განახორციელონ ერობის კულტურული მიზანი. ძირითადი დებულებანი; რომელთაც ყველა წევრები იზიარებენ, არის: ერობაში წოდებათა პრივილეგიის მოსპობა, საამომრჩევლო ცენზის შემცირება და საერობო უფლებათა გადიდება.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მასაც უსაჭიროესად მიაჩნია 1890 წლის საერობო პრინციპებისკენ დაბრუნება, უეჭველ საჭიროებად მიაჩნია მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, რომ წოდებათა პრივილეგია მოისპოს, ცენზი შემცირებული იყოს საერობო უფლებაც გადიდდეს. აგრეთვე საჭიროდ მიაჩნია კოკოვცევს საერობო საოლქო კრებები, რომელნიც მხოლოდ შინაგან საქმეთა მინისტრს უნდა ექვემდებარებოდეს და კრებების გამართვისათვის ნებართვის აღება საჭირო არ უნდა იყვეს. თუ ჯგუფი შემოიტანს შესაფერის კანონ-პროექტს—განაცხადა კოკოვცევმა,—მთავრობა თავის თავზე მიიღებს ამ კანონ-პროექტის შემუშავებს და სიჩქარითაც დაამზადებს.

**სათათბირო და ხულიგანები.**

სათათბიროს თავმჯდომარემ როძიანკომ ორი წერილი გაუგზავნა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, რომელშიაც იტყობინებდა, რომ სათათბიროს გარშემო ქუჩებში ვალაც ხულიგანები დასეირნობენ და მათი რიცხვი მრავლდებაო. როძიანკო თხოვდა კოკოვცევს, რომ მიეღოთ ზომები ხულიგანების თავიდან მოსაცილებლად. კოკოვცემ უპასუხა როძიანკოს და სწერს, რომ პირველი წერილის მიღებისათანავე მივმართე შინაგან საქმეთა მინისტრსო. მეორე წერილის მიღების შემდეგ კიდევ მივმართე იმავ მინისტრსო და ყოველივე ღონისძიება იქნება მიღებული, რომ სათათბიროს მოვაცილოდ ხულიგანებიო.

**პოლონეთის სამოქალაქო დებულება.**

ვ. ნ. კოკოვცევმა განუცხადა დეპუტატებსა, რომ ეცდება პოლონეთის სამოქალაქო დებულება გაატაროს სახელმწიფო საბჭოში ამავე სესიაში.

**კადეტები და დეპ. კერენსკი.**

კადეტების ფრაქციამ განიხილა პოლონელების კოლოსაგან გამოშვებული დადგენილება შესახებ იმ ინციდენტისა, რომელიც კერენსკისა და კოლოს შორის მოხდა და სცნო რომ კერენსკი პასუხისმგებლობას კი არ გაქცევია, არამედ უკულტურესი საშუალებით უნდოდა საქმე გაეთავებინაო და ამიტომ უყურადღებოდ დასტოვოს პოლონელების „ატესტაცია“.

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

**19 თიბათვე.**

**უცხოეთი**

**სოფია** სალონიკში ბერძნების ჯარის მოქმედების გამო ბულგარეთის ელჩმა ათინაში წარუდგინა მოთხოვნილება საბერძნეთის მთავრობას, რომლითაც მოითხოვს მოისპოს თავდასხმა ბულგარეთის ჯარზე, თორემ ყოველივეს პასუხისმგებელი საბერძნეთი იქნებაო. ბულგარეთმა ფორმალური ბრძანება გასცა, რომლითაც ჯარმა უნდა მოსპოს შეტაკება სხვა ერებთან და იმედი აქვს ასევე მოიქცევიან ბერძნებიც.

**ბელგრადი.** ოპოზიციის დეპუტატებს ეშინიანთ, რომ არბიტრაჟი მათ სასარგებლოდ არ გადასწყვეტს საქმეს. მთავრობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მთავრობა კვლავ თავის ექსპოზის თვალსაზრისით უყურებს საქმეს. სკუპშჩინამ ნდობა გამოუცხადა მთავრობას.

**უსკიუბი.** იტყობინებიან, რომ სერბიელებმა გაიმარჯვეს იშტიბის მდინარეზე. ბულგარელებს დიდი დანაკლისი მიაყენეს. იშტიბი ძალიან დაზიანებულია სერბიის არტილერიით. სერბიელები გადავიდნენ ბულგარელების ტერიტორიაზე. ბულგარელები გაიქცნენ. სერბიელებმა ბევრი ჯარის კაცნი დაჰკარგეს ბრძოლის ველზე.

**ბელგრადი.** სერბიელებმა კიდევ სძლიეს ბულგარელები და წაართვეს დრინენსკი, პეტრაშინო და დვინევო. რედიბუკთან ბრძოლას სერბიელები იგებენ. დატყვევებული ჰყავთ 20 აფიცერი, 50 უნტერ-აფიცერი და 700 ჯარის კაცი.

**სოფია** ბულგარეთმა წარუდგინა ნოტა სერბიას, რომელშიაც ბრალსა სდებს მას შეტაკების მოხდენაში. ბულგარეთი ამოწმებს, რომ მშვიდობიანობა ჰსურს, მაგრამ თუ სერბიამ თავი არ დაიჭირა, პასუხისმგებლობა მას დაედება თავზე.

**სოფია.** მთავრობამ წარუდგინა საბერძნეთს ისეთივე ნოტა, როგორც სერბიელებს.

**ათინა.** გამოქვეყნებულია საბერძნეთის ნოტის შინაარსი, რომელიც ბულგარეთს წარედგინა. საბერძნეთი ბრალსა სდებს ბულგარელებს მომხდარ ამბავში ბულგარეთმა დაღვია სალონიკის ოქმი და რამდენჯერმე გადმოიჭრა ბერძნების ტერიტორიაში. საბერძნეთს ისღა დარჩენია, დაიცვას თავის პოზიციებიო, ბერძნები პროტესტს უცხადებენ ბულგარელების უსამართლო წადილს.

**იოჰანესბურგი.** „ისტრენდ-პროპრიეტერი“-ს მაღაროების მუშები გაიფიცნენ.

**პარიზი.** საექიმო აკადემიამ დაადგინა, რომ ყოველი ექიმი ვალდებულია შეატყობინოს ხოლმე სანიტარო ექიმს ჭლექიანი ავადმყოფის ვინაობა, საც საიდუმლოდ უნდა იყვეს დაცული.

**კაირო.** ოსმალეთის მთავრობამ შესთავაზა სასახლის 2 პრინცს დიდი თანამდებობანი აზიაში რეფორმების მოსახდენად.

**იერუსალიმი.** ფრანგული კულტურის გასავრცელებლად, საფრანგეთის მთავრობამ გადასწყვიტა დაარსოს აქ უნივერსიტეტი, საექიმო, საფარმაცევტო და საკომერციო ცოდნათა განყოფილებებით.

**ბუქარესტი.** მობილიზაციის შესახებ ხმების გამო ფასიან ქაღალდების ღირებულება ძალიან დაეცა. კომისიის წევრები, რომელნიც სილისტრიის საკითხის შესახებ შეიკრიბნენ, ვერ შეთანხმდნენ და შინ დაბრუნდნენო.

**ნიუ-იორკი.** მთელ ქვეყანაში ძალიან გავრცელდა სიცხის გამო მდავლის დაცემა. ჩიკაგოში უკანასკნელ 3 დღის განმავლობაში 75 შემთხვევა იყო სიცხის გამო მდავლის დაცემისა.

**ლვოვი.** დაიწყო სრულიად უკრაინის სტუდენტობის კრება. კრებას დაესწრნენ უკრაინელი დეპუტატები და ჩეხიებისა და ხორვატელ სტუდენტების წარმომადგენლებისა. კრება დიდ აღტაცებით და ოვაციებით მიეგება პროფესორ გრუშევსკის და პოლონელ პუბლიცისტს კულჩიცკის. კრებამ მიიღო ბევრი მილოცვები სხვადასხვა საზოგადოებებისაგან. სხვათა შორის მილოცვები მიიღეს პეტერბურგიდან, დორპატიდან და ხარკოვიდან.

**პარიზი.** როგორც კორესპონდენტმა გამოარკვია, არ შეიძლება იწინასწარმეტყველო თუ რას გააკეთებს შემდეგში ის კომისია, რომელიც ბალკანელ მოკავშირეთა ოსმალეთისაგან ფულის მოთხოვნის და მის რაოდენობის საკითხს წყვეტს. ღღევანდელი კრება არ იძლევა საბაბს პესიმიზმისათვის. ოსმალეთი არ ეთანხმება მხოლოდ ძირითად მოთხოვნილებას.

**უსკიუბი.** ბულგარეთის ჯარის პოლკოვნიკმა და საღენერლო შტაბის მაიორმა მიჰმართეს სერბიელთა ჯარს შეაჩერონ ბრძოლა იშტიბის მახლობლად. წინადადება სერბიელებმა უარჰყვეს. სერბიელებმა ამ წინადადებას იქვის თვალით შეხედეს.

**ლონდონი.** ლონდონში დიდ იმედებს ამყარებენ არბიტრაჟზე და ამბობენ, რომ არბიტრაჟის აღიარება თავმდებია ომის შეუძლებლობისაო; მხოლოდ ბულგარეთს ურჩევს აქაური პრესსა სამართლიანად მოეპყრას მოკავშირეებს.

**რუსეთი.**

**პეტერბურგი.** დილას, შავიზღვის 52 მეზღვაურ ჯარის კაცების გასამართლების აღსანიშნავად გაიფიცნენ ქარხნების მუშები რიცხვით 24.265. ქარხნებიდან გამოსვლის დროს ზოგიერთი სცდილობდა დემონსტრაცია მოეხდინად ქუჩაში და სარევოლიუციო სიმღერები უნდოდათ ემღერათ, მაგრამ პოლიციამ არ მისცა. ნებით დაჭერილია სამი კაცი. 18 ივნისს მუშაობა დაიწყო მხოლოდ 9.397 კაცმა.

**პეტერბურგი:** სენატმა დაარღვია ტფილისის სამოსამართლო პალატის გაიაჩენი, რომლითაც დაშნაკცუტიუნის პარტიის წევრობისათვის 14 მისჯილი აქვს 4 წლის კატორღა 12 გადასახლება. სენატმა ისევ ტფილისის სამოსამართლო პალატას დაუბრუნა საქმის ხელ-ახლად განსახილველად.

**პეტერბურგი.** ვაჭრობის სამინისტრომ შეიტანა მინისტრთა საბჭოში კანონპროექტი, რომლის მიხედვით უნდა შემცირებულიყო ჩინელ მუშათა რიცხვი სამთო-სამრეწველოებში ამურის მხარეში და სახალინზე.

**ლოძი.** შტეინერის ბამბის სამრეწველო სააქციონერო საზოგადოების ქარხნის მუშები გაიფიცნენ ისე, რომ ქარხნის ადმინისტრაცია არ გაუფრთხილებიათ, მუშები მოითხოვენ ჯამაგირის მომატებას. გაფიცულთა რიცხვი 1.450 კაცს უდრის. ქარხანა დაიკეტა.

**პეტერბურგი.** ობუხოვის საავადმყოფოში გამოიკვლიეს ორიენბუმის ახლოს ნაპოვნი კაცის ასოები. გამოკვლევით დამტკიცდა, რომ ასოები ერთ და იმავე კაცს ეკუთვნის. ერთმა ქალმა იცნო მოკლული. იგი აღმოჩნდა ვინმე იაგელო. გაზეთის დამტარებელი ყოფილა. მუშაობა დაიწყეს 14.913 კაცმა. 18 ივნისს გაფიცულთაგან ჯერ არ მუშაობენ 855 კაცი, რომელნიც მივიდნენ ქარხნებში, მაგრამ მშვიდობიანად შინ დაბრუნდნენ.

**ლოძი.** რიხტერის სამანუფაქტურო ქარხნის მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს. გაფიცულთა რიცხვი ათასია. გაიფიცნენ აგრეთვე სხვა ქარხნის მუშებიც. გაფიცვას ეკონომიური ხასიათი აქვს.

**რედაქტორ-გამომცემელი**
**ა. ჭუმბაძე.**


მიიღება ხელის მოწერა 1913 წ. ნახატებიან საყმაწვილო ჟურნალ

„ნ ა კ ა დ უ ლ“-ზე.

(წელიწადი მეცხრე).

გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

ო რ ი გ ა მ ო ც ე მ ა!

| მცირე წლოვანთათვის | მოზრდილთათვის |
|---|---|
| 24 წიგნი. | 12 წიგნი, |

ღირება წლიურად 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., ცალკ-ცალკე თვითო გამოცემა 3 მ., საზღვარ-გარედ 7 მ.

წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ **ს ა ჩ უ ქ რ ა დ ამერიკელ მწერალ ქალის ჰარიეტ ბიჩერ სტოუს რომანს ზანგთა განთავისუფლების დროიდან ✦ „ბიძია თომას ქოხი“, ✦** სრულ თარგმანს. წიგნში იქნება 40-ზე მეტი სურათი და ჩართული ექნება ავტორის სურათი და ბიოგრაფია. თარგმანის რედაქცია და ინგლისურ დედანთან შედარება იკისრა **ილია ნაკაშიძემ.** ჟურნალი „ნაკადული“ მცირე წლოვან და მოზრდილ. 1910 წ. ნება დართულია კავკასიის ოლქის სამოსწავლო მზრუნველისაგან ქართულ სკოლებში სახმარებლად. **ხელის მოწერა** შეიძლება **ტფილისში**—„ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახ., გოლოვინის პრ. 8, და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, სასახლის ქუჩა.

1140 რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.** გამომცემელი **თ-დ პავლე თუმანიშვილი.**



# მატარებელთა მიმოსვლა

(ზ ა ფ ხ უ ლ ო ბ ი თ)

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ:** № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 12, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4. **საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** საღ. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

**ბათომისაკენ:** № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **საჩქარო** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

**ბორჯომისაკენ:** № 17, **სახ.** დილ. 8 ს 2 წ. (15 მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

**წნეთამდე:** № 65, **საგარაკო** დილ. 8 ს. 46 წ., № 67,ბ **საგ.** ნაშუადღ. 2 ს. 43 წ.

ეს მატარებლები ივლიან პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე კვირა-უქმე დღეობით. მატარებელი № 67, უქმის წინა დღეებშიაც. ტფილისში უკანვე დაბრუნდებიან № 65 შუადღ. 12 ს. 5 წ. და № 67 საღ. 8 ს. 28 წ.

**ჯულფისკენ:** **საფ.** № 4;3, შუადღ. 12 ს. 51 წ.

**ყარსისკენ:** **სახ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

**ერევანისკენ:** № 24;23, **საბარგ.-სამგზ.** საღ. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

**ტფილისში მოდის:**

**ბაქოდან:** № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ., № 11, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, საშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო**— პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

**ბათომიდან:** № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევ.** ღამ. 2 ს. 12 წ.

ქ ბ ი ლ ი ს

**ექიმი ა. გ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ. და საღამოთი 5—7 ს.-მდე. გოლოვინის პრ. № 12. 1334

**ექიმი** ქბილისა **ნინო რცხილაძე** იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს., ოლღას ქუჩის შესახვევი № 5, სახ. მაქარაშვილისა.

# ექიმ ნავასარდიანის

## პირველი კერძო სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ,

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.**

**დ ი ლ ი თ:**

**„606“ და „914“**

**11—12 ს. შ ე შ ხ ა პ უ ნ ე ბ ა კონსულტატიურად.**

**გ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. აგასაროვი:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მუღანი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **გ. ა. ნავასარდიანი.** 1004

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

# მასწავლებელი ს. ა. გრიაზნოვი

ამზადებს გიმნაზიისა, კომერციულისა და სამიწისმზომელო სასწავლებლ., სამოსტატო ინსტიტუტისა და აფთიაქის შეგირდად, განმეორებითი გამოცდისათვის. მსურველთ მიიღებს სრულ პანსიონზე.

**ვერა,** იზმაილოვის მისახვევი, ბელინსკის ქუჩიდან სახლი 6, ბინა 8. 325

## უფასო საექიმო დახმარება

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

| უბნები | |
|---|---|
| 1—2 | **გ. ა. ზედგინიძე** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592). |
| 3—4 | **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619). |
| 5—6 | **ტ. მ. თათევოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680). |
| 6—7 | **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 715). |
| 8—9 | **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715). |
| 10, 11—12 | **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71. |

# ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.

**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.

**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

✦ გამოსულია და იყიდება ✦

**ნ. შიუკაშვილის** პიესა **„მეგობრობა“,** დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

**სამკურნალო გოგირდის აბანო „ფ ა ნ ტ ა ზ ი ა“,**

ვორონცოვის ქ. ტრამვაის ლიანდაგზე **ახლად შეკეთებული** მოწყობილობა ყოველ მხრივ და წესიერად.

კომფორტი, ელექტრონული განათება. გვაქვს სხვა და სხვა ფასიანი ნომრები და აგრეთვე საზოგადო სათავად-აზნაურო განყოფილება—30 კ.—ხოლო მამაკაცებისა—15 კ. ყველა ნომრებსა და განყოფილებაში ორ-ორი მილია 29% და 35%, ცხელი და ცივი, გოგირდის სიმრავლე საუკეთესო საშუალებაა ქარებისა, ბუასილისა, სისხლნაკლებულობისა და სხვა დაძველებულ სნეულებათა. გვაქვს მოწმობა ტფ. სამხ. ლაბორ. ანალიზისა. გვყავს გამოცდილი მექისე ქალები და კაცები. მსურველთ შეუძლიათ აბონიმენტები შეიძინონ, ტელეფონი № 115.

1674 **კნ. სუმბათოვებისა.**




# თუმანს მოიგებს დღეში

ადამიანი ჩვენის ახლად გამოგონილი ფეროტიპიული მანქანით—„**ფორტუნა**“, რომელიც **ერთი წუთის განმავლობაში** დღის სინათლეზედაც კი იძლევა **სრულიად გამოსულსა** და **მზა** ფოტოგრაფიული **სურათს.**

**საჭირო აღარაა ცოდნა, მეცნიერება ან ბნელი ოთახი.** ყუთი ივსება დღის სინათლეზე 15 ლითონ. ფირფიტით. მანქანა ლამაზადაა გაკეთებული, საუკეთესო ახრომატით, ნიკელის ჯამით სურათების გამოსაყვანად, კლიტე ლითონის ჩამოსაშვებით, მუქი შუშით. უფასოდ დაერთვის 12 ფირფიტა, 1 ჩარჩო და 1 ანდამატი ფირფიტების გამოსაღებად. **დასურათ. რუსული სახელმძღვანელო.** ✦ **ფასი 7 მ. 75 კ.** (გამოგზავნა 50 კ).

თუ თქვენ მარჯვე ხართ,

**შეგიძლიანთ გაიჩინოთ ახალი შემოსავალი.**

საჭირო არ არის საგანგებო ოთახი. შეიძლება გადაღება მოედნებზე, იარმუკებზე და სავაჭრო ადგილებზე; **ყოველ წუთს შეგიძლიანთ ფულის შეძენა.** მანქანა „**ფორტუნა**“ დიდად საყურადღებოა აგრეთვე ფოტოგრაფიის მოყვარეთათვის, ნამდვილ სურათისა და დროს გასატარებლადაც კარგია. იგზავნება უბეოდ და ფას-დადებით.

**ადრესი:** „Т—во Патентъ“, Варшава, Св. Креста № 30. Отд. 95.

Метцль. 37989. 1380.

# არ გაგონილა!! მხოლოდ 2 მ. 95 კ.





ვგზავნით ქვემოდ ჩამოთვლილ 14 ძვირფასს ნივთს: 1. მშვენიერ მკვიდრ ჯიბის საათს კაცთათვის—„ანკერ“ (და არა ცილინდრი) ინგლისურ შავ ფოლადისას. იმართება თავის ქახ ით 36 საათში ერთხელ, ხმა წკრიალა აქვს, 15 ქვიანია. 2. ქალთათვის საუცხოვო ყელის ძეწკვს, ახალი ფასონისა 3. ბრელოკი-კინემატოგრაფი, კომპასით ან საუცხოვო სანახაობით. 4. ზამშის ბუდე საათისთვის. 5. მოხდენილი ბეჭედი ამერიკულ ოქროსი „დუბლე“ პარიზულის თვალით. 6. სათეატრო ბინოკლი 4 ახრამატიულ შუშით ჩვეულებრივი ზომისა, რომელიც ფრიად მოშორებულ საგნებს აახლოვებს 7) ქურდებისაგან საათის დასაცავი. 8. პარიზის პლასტოგრაფი, ზედმიწევნით მაჩვენებელია სხვა და სხვა სანახაობისა. 9. საამისო ექვსი მეტის მეტად საგულისხმო სურათი. ყველა ამის ფასი მხოლოდ 2 მ. 95 კ., ორი წყება ღირს 5 მან. 50 კაპ., 4 წყება 10 მ. 50 კ. ასეთივე სახურავიან საათით 1 მანეთით **მეტი ღირს.** ხსენებული წყება საათით და ნივთებით საუკეთესო ღირსებისა და საუკეთესო თვისებისა 3 მან. 95 კ., ორი წყება 7 მ. და 40 კ., ესევე წყება ქალის საათით 3 მ. 70 კ გასაგზავნი ორწყებამდე—40 კ, ციმბირში გასაგზავნი 75 კ. საათსა ვგზავნით შემოწმებულ-შესწორებულს წუთი-წუთზე 8 წლის თავდებობით, ფასდადებით და უბეოდ.

**მისამართი:** И. Шрумфелъ, Варшава, электоральная 11. отд. 1 6.

ეს მისამართი ამოსჭერით და კონვერტს ან დია წერალს დააკარით. Метцль. 27618. 1238

გამოსულია და იყიდება

**ი. გედევანიშვილის** პიესა

**„მ ა მ ც ე მ ი“**

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

# მუდამ დღე მოგვდის

თევზის მრეწველნი

**მმ. ძმევლოვები.**

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.

**ტელეფონი № 712.**

ახალ-ახალი

მტკვრისა თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი.

ახალი მსხვილ-მარცვლოვანი

**ხიზილალა** |ქვიშა|

აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში მარტის დოში, იანი, ჭიპა, ზურგიელები, სხვა ყოველ-ნაირი თევზეულობა და

**კონსერვები.**